ხობის მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი
გამოდის 1932 წლის 12 ივნისიდან

# სამკუთხედი

№ 10 (7020) * 30 აპრილი * შაბათი * 2010 წელი * ფასი 50 თეთრი

## მიხეილ სააკაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს



საქართველოს პრეზიდენტს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. "ჩემპიონი დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით"- ასე შეაფასა მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი უნივერსიტეტში სიტყვითაც გამოვიდა და ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც სასწავლებლად ამ ქალაქში ჩავიდა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მისი და ბარაკ ობამას მოგონებები ამ მეგაპოლისში გატარებული პირველი დღეების შესახებ ერთმანეთის მსგავსია. მან საქართველოზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ქვეყანას დემოკრატიული გზის განვითარების გარდა, სხვა არჩევანი არ აქვს.

„მინდა უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი დახვედრისთვის. ამაყი ვარ, რომ ვიმყოფები ამ საოცარ უნივერსიტეტში.

მოხარული ვარ, რომ ვხედავ ძვირფას პროფესორებს. ჩემთვის, როგორც ყოფილი სტუდენტისთვის, უდიდესი პატივია ვიმყოფებოდე ამ კედლებში.

ჩემი პოლიტიკური შეხედულებები მყარად არის დაკავშირებული ნიუ-იორკთან. მე ჩამოვედი აბსოლიტურად განსხვავებული სამყაროდან.

ეს იყო საბჭოთა სამყარო, სავსე კორუფციით და ბიუროკრატიზმით. ყოველთვის ვიცოდი, რომ ვერასდროს შევიყვარებდი იმ საზოგადოებას.

მჭირდებოდა რაღაც სხვა, რადიკალურად განსხვავებული.

ნიუ- იორკი არ არის ის ქალაქი, რომელიც ხელგაშლით გიღებს. აქ ცხოვრება საკმაოდ ძნელია, ამის საკმარისი გამოცდილება მაქვს.

როდესაც კოლუმბიის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ერთ საღამოს ოთახში სტუდენტის მოწმობა დამრჩა, ამის გამო კორპუსში არ შემიშვეს.

პირველი ღამის გათენება, ისევე როგორც პრეზიდენტ ობამას, მეც გარეთ მომიხდა, მაგრამ ეს არის შესაძლებლობების ქალაქი, სადაც შეიძლება დაეცე და ფეხზე წამოდგე. ეს არის ქალაქი, სადაც არავინ განგსჯის შენი სახელის ან შეხედულებების გამო. ბევრი რამ ვისწავლე აქ და ეს ახლაც მეხმარება.

ეს არის ქალაქი, სადაც ტრანსფორმაციას ემყარება დამოუკიდებლობა, დემოკრატიაც და ყველა სახელმწიფოებრივი ღირებულებაც.

მე დღეს შევხვდი ცნობილ მაგნატსა და ბიზნესმენს დონალდ ტრამპს, რომელმაც თავის დროზე ყველაფერი დაკარგა, მაგრამ გადარჩა და ფეხზე წამოდგა. ტრამპმა მითხრა, რომ ის აღფრთოვანებულია საქართველოთი. წლების წინ, მას ყველამ მოუჭრა გზა და დაბრუნება მაინც მოახერხა. როგორც არ უნდა დაეცე, მთავარია ფეხზე წამოდგომა შეძლო. ასეთია საქართველო, ეს არის მამაცი ხალხის სამშობლო. ქართველი ხალხი არასდროს დაბრუნდება კორუფციასა და ნიქილიზმში.

„ვარდების რევოლუცია“ არ იყო მხოლოდ ის, რასაც ტელევიზიით უჩვენებდნენ, თუნდაც ტელეკომპანია "სი-ენ ენ"-ით. ყველაფერი ამის შემდგომ მოხდა. ადამიანების სოციალური ტრანსფორმაცია. ჩვენი რეგიონი ახლა რთულ მდგომარეობაშია. ჩვენ გვიწევს ქაოსის პირობებში მართვა, როგორიც რეგიონშია შექმნილი. რომ არა კრემლის მტრული დამოკიდებულება, სრულიად სხვა სურათი იქნებოდა.

ნიუ–იორკი გადარჩენილთა ქალაქია და ამით ძალიან ჰგავს ჩემს ქვეყანას. ჩვენ აქ ვისაუბრეთ ვარდების რევოლუციასა და იმ ცვლილებებზე, რაც ჩემმა ქვეყანამ ბოლო 7 წლის განმავლობაში განიცადა.

მაგრამ მთავარი რამ, რაც ჩემს ქვეყანაში მოხდა, ეს იყო სოციალური ტრანსფორმაცია, რომელიც ეფუძნება დემოკრატიას, თავისუფლებას, უსაფრთხოებას და დასავლურ ინტეგრაციას.

ეს არ არის ადვილი პროცესი. წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, თუმცა გვჯერა, რომ გადავრჩებით."–განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური.**

## ნაციონალური მოძრაობის ეგიდით!



21 აპრილს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ეგიდითა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ მამუკა ჭოხონელიძის თაოსნობით, ხობის მუნიციპალიტეტში თამარ მეფის სახელობის სანაპიროზე, ხობის №1 და №2 საჯარო სკოლების, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმდებარე ტერიტორიასა და ცოტნე დადიანის სახელობის პარკში 100 ძირზე მეტი ნერგი დაირგო. მათ შორის: შავი ფიჭვი, კრიპტომერია, მარაოსებრი პალმა, იუბა, კაკლის ხე, თუთა და სხვა.

ორი დღით ადრე ეს აქცია მუნიციპალიტეტის სოფლებშიც მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა სოფლებში მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულებმა და რიგითმა მოქალაქეებმა მიიღეს.



აქციაში ჩართული იყვნენ აგრეთვე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქალაქის საკრებულო, შ.პ.ს „ხობის დასუფთავება და განათება“ და ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ეს აქცია წელს პირველად მოეწყო და მომავალშიც გაგრძელდება.

***ნანა კემულარია.***

## ხობის სოფლებში მგლების შემოსევა დაფიქსირდა

ხობის სოფლებში -ხიბულა, ბია, საჯიჯაო და ქვალონში მოსახლეობას პირუტყვი ეკარგება, ადგილობრივები ამას მგლების შემოსევით ხსნიან. მსგავსი ფაქტები ბოლო კვირის განმავლობაში სოფელ თორსაში დაფიქსირდა. პირუტყვის ზარალი თითქმის ყველა ოჯახმა განიცადა, განადგურებულია 60 სული საქონელი, დაზარალდა სოფლის ყოველი მეორე მოსახლე. მათ ძირი-



თად შემოსავალს მესაქონლეობა წარმოადგენს. სოფელ თორსის ტერიტორია დაათვალიერეს გარემოს დაცვის ინსპექციის, მონადირეთა კავშირისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელებმა. გარემოს დაცვის ინსპექციის ნებართვით, სამეგრელო ზემო სვანეთის მონადირეთა კავშირთან ხელშეკრულება გაფორმდა, რითაც პირველ მაისამდე მონადირეთა კავშირს ორი მგლის განადგურების უფლება მიეცა. სოფლის მოსახლეობას თავის მხრივ მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ თანადგომა აღუთქვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელშეკრულებას ვადა 1 მაისს უმთავრდება. ხელშეკრულების გადავადების თაობაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გარემოს დაცვის სამინისტროში უკვე გაგზავნილია მოთხოვნა. თანხმობის შემთხვევაში ხელშეკრულებას ვადა 2 თვე გაუგრძელდება, მონადირეთა კავშირს კი დამატებით 2 მგლის ლიკვიდაციის უფლება მიეცემა.

## მასწავლებელთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამები გრძელდება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აცხადებს კონკურსს პროგრამებზე – ასწავლე საქართველოსთვის და კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონების სკოლებში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საგნის სპეციალისტებსა და ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდილ მასწავლებლებს.

ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორმა, გია მამულაშვილმა სამინისტროში ბრიფინგი გამართეს.

პროგრამა ასწავლე საქართველოსთვის 2009 წელს დაიწყო და გულისხმობს კვალიფიციური საგნის სპეციალისტების დასაქმებას საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას კადრების ნაკლებობის პრობლემა. გასულ წელს შერჩეულ მასწავლებლებს, ხელფასის გარდა, 250 ლარიანი სტიპენდიებიც ერიცხებოდათ, ახალი სასწავლო წლიდან სტიპენდია გაორმაგდება და 500 (ხელზე - 400) ლარს შეადგენს.

პროგრამა „კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონების სკოლებში,“ მიზნად ისახავს ქართული ენის სწავლების ხელშეწყობას და გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდილი მასწავლებლების მივლინებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში. პროგრამაში მონაწილე მასწავლებლების ხელფასი 1000 ლარია.

ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელება 2009 წელს დაიწყო და მათში 100-მდე მასწავლებელი იყო ჩართული. წელს გათვალისწინებულია დამატებითი კადრების აყვანა, რაც გულისხმობს უფრო მეტი სოფლისა და თემის ჩართვას სახელმწიფო ენის სწავლებისა თუ ზოგადად, სასწავლო პროცესების გაუმჯობესებაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ რესურსცენტრს. ფუნქციონირებს ცხელი ხაზიც: 95 58 36.

**„ინტერპრესნიუსი“**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებაში თანაუგრძნობენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გოდერძი ბუკიას სიძის, დიდი ოჯახის მამის, ერთგული და პატიოსანი ადამიანის

**ვალერი უბირიას**

გარდაცვალების გამო.

## მიხეილ სააკაშვილი: 30 მაისის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების არანაირი პრობლემა არ არსებობს



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 30 მაისის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების არანაირი პრობლემა არ არსებობს.

„ჩვენ ახლა ადგილობრივი არჩევნების ჩასატარებლად ვემზადებით. პრობლემები არ გვაქვს, რადგან წინა არჩევნებთან შედარებით, მომზადების დონე ძალიან ამაღლდა“, - განაცხადა სააკაშვილმა ლოს-ანჯელესში, მილკენის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ გლობალურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისივე განმარტებით, არჩევნებში დამარცხებაც დემოკრატიის ნაწილია.

„მე უნივერსალური კონსესუსით ამირჩიეს. ამას საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან საპროტესტო აქციები მოჰყვა. ამის შემდეგ ჩავატარეთ ვადამდელი არჩევნები და კვლავ მოვიპოვეთ ხმების უმრავლესობა. გამარჯვებისთვის მთავარია პოპულარული იყო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში, მაგრამ თუ არჩევნებს წააგებ, ესეც დემოკრატიის ნაწილია“, - დასძინა ქვეყნის პირველმა პირმა.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეერთებულ შტატებში მის მიერ ინიცირებული „თავისუფლების აქტის“ პრეზენტაცია გამართა.

„თავისუფლების აქტის“ აზრი ძალიან მარტივია - ლიბერალური ცვლილებები კონსტიტუციის ნაწილად იქცეს, რაც ნიშნავს იმას, რომ გადასახადები არ გაიზრდება, ახალი წესების შემოღება კი რეფერენდუმის გარეშე შეუძლებელი იქნება.

„საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 6-7 წლის წლის წინ ის წარუმატებელი სახელმწიფო იყო. ხელისუფლება არ ასრულებდა თავის ძირითად ფუნქციებს. არ იყო კანონის დამცველი პოლიცია. ხალხი სკეპტიკურად იყო განწყობილი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, კორუფცია კი ქვეყნისთვის ორგანული მოვლენა იყო. ჩვენ უნდა განგვეხორციელებინა რთული ტრანსფორმაცია და სწრაფად უნდა გვემოქმედა, რაც გავაკეთეთ კიდეც. მე აქ ვარ იმისთვის, რომ წარმოგიდგინოთ „თავისუფლების აქტი“, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს კონსტიტუციას. რაც შეეხება მის პრინციპებს, ესენია: თავისუფლება, დაბალი გადასახადები, კერძო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობა და ერთიანი შესაძლებლობების შექმნა ყველასთვის“, - განაცხადა სააკაშვილმა.

ამასთან, ქვეყნის პირველმა პირმა ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი მიღწევა საზოგადოების სოციალური და მენტალური ტრანსფორმაცია.

„ჩვენი უმთავრესი ცვლილება საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საზოგადოების სოციალური და მენტალური ტრანსფორმაცია იყო. მაშინ ხალხი მიჩვეული არ იყო დამოუკიდებლად აზროვნებას, ახლა კი სხვა ვითარებაა. გასულ წელს საქართველოში უამრავი ადამიანი გამოვიდა საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად. მათ ჩვენი ბლოკირებაც მოახდინეს, რაც ნორმალური პროცესია. ყველაზე რეალური ცვლილება ის არის, რომ ჩვენ დავამყარეთ ქვეყანაში მერიტოკრატია - სახელმწიფომ ჩამოაყალიბა განათლების ინსტიტუტი, პოლიცია ახლა იყენებს მინიმალურ ძალას, ჩვენთან სამჯერ ნაკლები დანაშაულია, ვიდრე რუსეთში, თუმცა საბჭოთა კავშირის დროს ყველაზე კრიმინალური ქვეყანა ვიყავით... ჩვენ შევძელით ეკონომიკის ზრდაც - უცხოური კაპიტალისა და კრედიტების შემოდინების წყალობით. ჩვენ გავატარეთ საზოგადოებრივი სექტორის უზარმაზარი რეფორმა, შევამცირეთ ლიცენზიები და მარეგულირებელი სააგენტოები, რის შედეგადაც საქართველოში ბევრი რამ გამარტივდა... საქართველო არის მსოფლიოს თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. იგი პირველია მსოფლიოში კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ჩვენმა ქვეყანამ 39 პოზიციით წინ წაიწია, მაშინ, როცა რუსეთი 38 პუნქტით ქვევით ჩამოვიდა“, - განმარტა სააკაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი დღეს ლოს-ანჯელესიდან ისევ ვაშინგტონში გეგმავს ჩასვლას, სადაც ის ატლანტიკური საბჭოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

## ჰაიდი ტალიავინმა რუსეთ-საქართველოს ომის წინაპირობებზე ისაუბრა



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას ჰაიდი ტალიავინმა ხაზი გაუსვა იმ წინაპირობებს, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომს წინ უძღოდა, - ამის შესახებ ინტერპრესნიუსს სტრასბურგიდან საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ აცნობა.

მისი განცხადებით, ტალიავინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ომს წინ უძღოდა დაძაბულობა, ოსური მხარის პროვოკაციები, რუსეთის მიერ სამშვიდობო ვალდებულებების შეუსრულებლობა.

ტალიავინმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთი ცხინვალის რეგიონში ჯერ კიდევ ომამდე აწარმოებდა მოქალაქეების უკანონო პასპორტიზაციას. შემდეგ კი მან აღნიშნა, რომ ამ მოვლენების კულმინაცია იყო 2008 წლის აგვისტო, როცა საქართველომ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. თუმცა, მან აქვე ხაზი გაუსვა, რომ ამ დროისთვის რუსული შეიარაღებული ძალები უკვე საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, - განაცხადა პაატა დავითაიამ.

მისი შეფასებით, ჰაიდი ტალიავინმა საკუთარი დასკვნის წარმოდგენისას დაადასტურა ის მონაცემები და შეფასებები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის საკითხზე მომუშავე დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაში იყო აღნიშნული.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ჰაიდი ტალიავინმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია და რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას არ შეეგუება, - განაცხადა პაატა დავითაიამ.

მისივე თქმით, ტალიავინმა ქართული მოსახლეობის მიმართ ეთნოწმენდა დაადასტურა და აღნიშნა, რომ ოსური მოსახლეობის მიმართ ეთნოწმენდა არ დადასტურდა.

**ინტერპრესნიუსი**

## მიხეილ სააკაშვილმა ვაშინგტონში ატლანტიკური საბჭოს ყოველწლიურ გალა-მიღებაში თანათავმჯდომარის რანგში მიიღო მონაწილეობა

ვაშინგტონში ატლანტიკური საბჭოს ყოველწლიური გალა-მიღება გაიმართა, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თანათავმჯდომარის რანგში მიიღო მონაწილობა.

გალა-მიღებაზე ნატოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 5 ადამიანი, მათ შორის ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი დაჯილდოვდა, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზეც ისაუბრა.

როგორც კლინტონმა განაცხადა, პრეზიდენტობის პერიოდში იგი ცდილობდა, დახმარებოდა რუსეთს, რათა მას საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეული წარუმატებლობები ნაკლებ მტკივნეულად გადაეტანა.

ოფიციალურ საღამოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ესწრებოდნენ.

**„პირველი“**

## ევროსაბჭოს დელეგაცია საქართველოში წინასაარჩევნო გარემოს შეისწავლის



ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის დელეგაცია საქართველოში წინასაარჩევნო გარემოს შეისწავლის. ამის შესახებ ევროსაბჭოს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

დელეგაცია საქართველოს 3-4 მაისს ეწვევა. დელეგაციას გიუნტერ კრუგი უხელმძღვანელებს.

ევროსაბჭოს წარმომადგენლები საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ არსებულ მდგომარეობას შეისწავლიან.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 30 მაისს გაიმართება.

**„ინტერპრესნიუსი“**

## ევროსაბჭო საქართველო-რუსეთის ომის შესახებ რეზოლუციას ოქტომბერში მიიღებს



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რეზოლუციას „საქართველო-რუსეთის ომის შედეგები“ მიმდინარე წლის ოქტომბერში მიიღებს. დღეს ასამბლეაში ამ თემაზე მხოლოდ დისკუსია გაიმართა.

ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლის დიკ მარტის აზრით, ზემოხსენებული თემა ძალზე რთულია, ფაქიზია და ემოციურია.

„საერთო სიტუაციის შეფასება რთულია. იმ სიტუაციისა, რომელზეც პასუხისმგებლობა ყველა მხარეს ეკისრება“, - აღნიშნა მარტიმ.

მომავალი რეზოლუციის მომზადებაში მონაწილეობას ველარ მიიღებს მომხსენებელი საქართველოს საკითხებში მათიას იორში. კერძოდ, ის უნგრეთის პარლამენტში აღარ აირჩიეს და შესაბამისად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მანდატი ავტომატურად შეუწყდება. საქართველოს საკითხში ახალი მომხსენებელი 19 მაისს დაინიშნება.

**„მედიანიუსი“**

## ბილ კლინტონი: იმედი მქონდა, რომ რუსეთი თავის სიდიადეს დადებითი კუთხით წარმოაჩენდა და არა საქართველოსთან ომით



ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის განცხადებით, მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი თავის სიდიადეს დადებითი კუთხით წარმოაჩენდა და არა საქართველოსთან, ან სხვა ქვეყნებთან ომით.

ამის შესახებ ექს-პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ატლანტიკური საბჭოს ყოველწლიურ გალა-მიღებაზე განაცხადა, სადაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიღების თანათავმჯდომარე იყო.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, ღონისძიებაზე ნატოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 5 ადამიანი დააჯილდოეს, მათ შორის აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი.

კლინტონმა თავის გამოსვლაში რუსეთზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს ცდილობდა კრემლს დახმარებოდა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარუმატებლობა ნაკლებად მტკივნეულად აღექვათ.

„მე ვცდილობდი რუსეთთან კარგი ურთიერთობები გვქონოდა. ჩემი პრეზიდენტობის დროს ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მათ ფინანსურად დავხმარებოდი. ვიცოდი, რომ ჩვენ საერთო მომავალი გვქონდა, ისიც ვიცოდი, რომ რუსეთი ძალიან დიდი სახელმწიფო იყო და მისთვის საერთაშორისო ასპარეზზე წარუმატებლობა ძალიან მტკივნეული უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ეს დანარჩენი ქვეყნებისთვის კარგიც იყო. მე არ მინდოდა მათ თავისი სიდიადე საქართველოსთან ან სხვა ქვეყნებთან ომით განესაზღვრათ, არამედ უფრო დადებითი თვალსაზრისით“, - აღნიშნა კლინტონმა.

მისვე თქმით, ბევრი ადამიანი საქართველოს პოლიტიკას არაეფექტურად მიიჩნევს, ამერიკელებს კი უყვართ თამაშები, სადაც წაგებულები და მოგებულები არიან.

„დროა მივეჩვიოთ ისეთ თამაშებს, სადაც ორივე მხარე მოგებულია. ეს უნდა გახდეს ჩვენი მთავარი სამოქმედო გეგმა“, - აღნიშნა აშშ-ს ექს-პრეზიდენტმა.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# 30 მაისი – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

## საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

### №1
**ქ. ხობი**

1. **კობახიძე გიორგი** თავმჯდომარე
2. **ფარცვანია ბესარიონი** მოადგილე
3. **ჯიშკარიანი თინაზი** მდივანი
4. ლატარია ლეილა
5. კილასონია მაყვალა
6. პერტია თამარი
7. ახალაია მარინა
8. გუჩუა ომარი
9. ფაჩულია ნინო
10. ქარჩავა ნინო
11. ხურცია ნოდარი
12. თუთბერიძე ირინა
13. ნაჭყებია ნორა

### №2
**ქ. ხობი**

1. **ჯგერენაია ირაკლი** თავმჯდომარე
2. **ჭითავა სევდალი** მოადგილე
3. **ბულისკერია ქეთო** მდივანი
4. თოდუა თინათინი
5. ლატარია ლალი
6. ზაქარაია ალეკო
7. თათარიშვილი მანანა
8. ჭაკუა ჯანიკო .
9. ლორჩოშვილი დარეჯანი
10. ბაჩილავა მზია
11. ქაჩიბაია მზია
12. კობახიძე თეონა
13. ქარჩავა თამუნა

### №3
**ქ. ხობი**

1. **ქირია ბესიკი** თავმჯდომარე
2. **ნადარაია ირაკლი** მოადგილე
3. **არჩვაძე დოდო** მდივანი
4. წოწორია მანანა
5. ლომაია მაია
6. რუხაძე მარინა
7. პაპავა დავითი
8. ნოდია მანანა
9. კვირტია ლადო
10. აქუბარდია მაგდანა
11. ჯავახიშვილი ჯემალი
12. ქურსუა ირმა
13. გაბუნია ილუშა

### № 4
**ახალი ხიბულა**

1. **ჯანჯღავა არტემონი** თავმჯდომარე
2. **ღურწკაია გურამი** მოადგილე
3. **ბასილაია რამაზი** მდივანი
4. ღურწკაია ნატო
5. ჭილაია ნინო
6. კოდუა დალი
7. ვეკუა ალექსი
8. შულაია გელა
9. ვეკუა მარინა
10. ჯიქია კიაზო
11. ჩქვანავა ბესიკი
12. ჯანჯღავა ბადრი
13. ბერაია ნონა

### № 5
**ახალსოფელი**

1. **ნაცვლიშვილი კუკური** თავმჯდომარე
2. **რიჟამაძე ქეთევანი** მოადგილე
3. **ქაცარავა მარინა** მდივანი
4. ნადარაია ნონა
5. უბილავა რუსუდანი
6. ცხადაია კახაბერი
7. ნადარაია ნანა
8. ნადარაია ჯემალი
9. ნადარაია ლამარა
10. წიქარიშვილი ქეთო
11. ნოდია რინული
12 ხარშილაძე ჯამბული
13. ადანაია გიორგი

### №6
**ბია**

1. **იოსავა ელზა** თავმჯდომარე
2. **შონია ფრიდონი** მოადგილე
3. **ჯიქია ინდირა** მდივანი
4. შონია ჟიული
5. თოდუა მერაბი
6. გვასალია ირინე
7. ბებურია ლიანა
8. ღურწკაია ელპიტი
9. გვასალია ინდირა
10. იოსავა ბესიკი
11. იოსავა კოტე
12. ბიგვავა ნატო
13. თუთბერიძე პაატა

### № 7
**პირველი მაისი**

1. **ლომაია რომეო** თავმჯდომარე
2. **გაბისონია ნონა** მოადგილე
3. **კვარაცხელია ელისო** მდივანი
4. ხუხია ნინელი
5. კვიკვინია ბადრი
6. ლაგვილავა ბელა
7. გაბისონია თამარი
8. ყორშია რუსლანი
9. პაპავა ინგა
10. ქარდავა აველინა
11. ფილიპია ჯემალი
12. კიტია ემირი
13. დგებუაძე ნანა

### №8
**გურიფული**

1. **ჯამბურია დემური** თავმჯდომარე
2. **დანელია ბეჟანი** მოადგილე
3. **წურწუმია ნაირი** მდივანი
4. გვასალია ასმათი
5. გერგაია ეკა
6. ჩხენკელი მაია
7. ვეკუა თამარი
8. ჭოჭუა მანანა
9. ეშბა ნუნუ
10. აკოპიანი არმენუი
11. არზიანი ჯონი
12. გეგეჭკორი ძაბული
13. გვასალია ლევანი

### № 9
**ზემო ქვალონი**

1. **გიგოლაშვილი ზოია** თავმჯდომარე
2. **ფაჩულია როინი** მოადგილე
3. **ჩიჩუა-ლობჟანია ნონა** მდივანი
4. აბაკელია დიანა
5. სიხარულია ირა
6. ჯგერენაია ზოია
7. შონია თეა
8. ალანია გულიანა
9. ალანია გოგიტა
10. ჭანტურია ნანი
11. აბაკელია გოჩა
12. ალანია ეკატერინე
13. ბასილაია ეკა

### №10
**თორსა-დღვაბა**

1. **გვაჯაია ვანელა** თავმჯდომარე
2. **მეტრეველი-ტურავა მანანა** მოადგილე
3. **ლატარია ლალი** მდივანი
4. კუხალეიშვილი ლალი
5. ჩიქოვანი ლუარა
6. ლემონჯარია მზია
7. დვალიძე ლალი
8. ადამია რუსიკო
9. ხვიჩია თეა
10. გოგინავა გოდერძი
11. შელია ლაშა
12. გიგანი მარინა
13 სორდია ზაზა

### №11
**ნოჯიხევი**

1. **აბრამია ლევანი** თავმჯდომარე
2. **ხვიჩია ინგა** მოადგილე
3. **გერგაია იური** მდივანი
4. ცხადაია პაატა
5. ხასაია ინგა
6. თუთბერიძე ნათელა
7. სიჭინავა ბესიკი
8. ხორავა პარმენი
9. საჯაია ლამარა
10. ზაქარაია პაპუნა
11. ცქირია შორენა
12. ქაქუთია მიხეილი
13. კიტია ნანა

### №12
**პატარა ფოთი**

1. **ბჟალავა გულნარა** თავმჯდომარე
2. **ბასილაია ნინო** მოადგილე
3. **სილაგავა ნათია** მდივანი
4. ჩუბინიძე ელზა
5. წულაია ინეზა
6. წულაია მათუ
7. წულაია ვახტანგი
8. სილაგავა ნელი
9. რობაქიძე ჟენია
10. სიჭინავა მარინა
11. ცეცხლაძე ლიანა
12. სილაგავა ჯიმშერი
13. ბერიძე გენადი

### № 13
**პირველი ხორგა**

1. **სალაყაია ნანი** თავმჯდომარე
2. **.ბერაია გოგი** მოადგილე
3. **ბერაია მაია** მდივანი
4. სალაყაია ელზა
5. ჭაჭია როლანდა
6. ბოხუა ლარისა
7. წურწუმია ირმა
8. ჭაჭია თემური
9. ლორჩოშვილი გაიოზი
10. კორტავა ავთანდილი
11 გეთია კობა
12. აბაკელია მაია
13 ბერაია სოფიო

### № 14
**საგვიჩიო**

1. **გოგოლაძე ვახტანგი** თავმჯდომარე
2. **ტაბატაძე სულიკო** მოადგილე
3. **ბარკალაია ლალი** მდივანი
4. სულამანიძე ზვიადი
5. შუბითიძე ლუიზა
6. გულიაშვილი ნანი
7. მეგრელიშვილი მურმანი
8. ალანია აბდული
9. შუბითიძე ომარი
10. გოგატიშვილი გელა
11. შამანაძე ციალა
12. ქიტიაშვილი ნათია

### № 15
**საჯიჯაო**

1. **კვარაცხელია გოჩა** თავმჯდომარე
2. **ქაჯაია ლელა** მოადგილე
3. **ფაჩულია მაკა** მდივანი
4. კემულარია ზინაიდა
5. თირქია სვეტლანა
6. კვირკველია ხათუნა
7. ფაჩულია ლილი
8. ქაჯაია კუკური
9. მესხია ლევანი
10. თირქია ელგუჯა
11. ადამია ვარდო
12. ჭაჭია ქსენია
13. ჯანჯღავა ნუგზარი

### № 16
**საჯიჯაო**

1. **ნადარაია ელგუჯა** თავმჯდომარე
2. **ფაჩულია ეკატერინე** მოადგილე
3. **კვიკვინია ემა** მდივანი
4. ნადარაია აზა
5. მიქავა ბესიკი
6. სერგია გიგა
7. შამათავა ქეთევანი
8. ახალაია მარინა
9. მესხია ლაშა
10. სვანიძე გოდერძი
11. შანთაძე ნადიმი
12. ჯახია ლევანი
13. დუდუნია რამაზი

### № 17
**გ/საჯიჯაო**

1. **ჭანტურია სოსო** თავმჯდომარე
2. **ჭანტურია თემური** მოადგილე
3. **კვარაცხელია მარინა** მდივანი
4. გოგოლაძე იზოლდა
5. ბოკუჩავა სვეტლანა
6. ლატარია მზისადარი
7. თოდუა თეა
8. სიჭინავა იაგორა
9. ლეფსაია თამაზი
10. ქორაია სულხანი
11. ჭანტურია აპალონი
12. თუთბერიძე ხათუნა
13. ნანეიშვილი გრიგოლი

### № 18
**ქარიატა**

1. **თოლორდავა ალექსანდრე** თავმჯდომარე
2. **გიგიბერია ნონა** მოადგილე
3. **ჩიქოვანი მარინა** მდივანი
4. ბერიშვილი მაკა
5. ბჟალავა კლარა
6. ჭიჭინაძე ირმა
7. ძაგანია ნანი
8. გვასალია თამარი
9. სახეიშვილი ნარგიზა
10. ბერაია იამზე
11. ალექსანდრია ცირა
12. ტყებუჩავა ზურაბი
13. კაკულია დიდიმი

### № 19
**ქვ. ქვალონი**

1. **ყალიჩავა ლუარა** თავმჯდომარე
2. **მეფარიშვილი ბენია** მოადგილე
3. **ფარღალავა სოფიკო** მდივანი
4. გოგალაძე პელო
5. ხარბედია მაია
6. კვარაცხელია ელისო
7. ლაგვილავა ნინო
8. პაპავა ელიანორა
9. დაგანაძე მარინე
10. გაბედავა ელგუჯა
11. კორძახია თამარი
12. ხაბურზანია ნათია
13. გრიგოლია მანანა

### № 20
**შუა ქვალონი**

1. **ცხადაია ცისანა** თავმჯდომარე
2. **შურღულაია ვახტანგი** მოადგილე
3. **ბიგვავა ზვიადი** მდივანი
4. ჯგერენაია კლარა
5. შურღულაია მაია
6. გერგაია ინდირა
7. შურღულაია ელზა
8. შურღულაია ნატო
9. ალანია ამირანი
10. ალანია ელზა
11. ჯღარკავა შაქრო
12. საჯაია ნინო
13. ტკაჩოვი დალი

### №21
**ჭალადიდი**

1. **ლაკირბაია ვახტანგი** თავმჯდომარე
2. **სურმავა ციური** მოადგილე
3. **სესკურია მაია** მდივანი
4. ნატრიაშვილი მზია
5. სიჭინავა ეთერი
6. დანელია ლევანი
7. დარჯანია ლევანი
8. ბუსკაძე რუსუდანი
9. ხურცია ზურაბი
10. გურული თამარი
11. კირთაძე ზინა
12. ფერაძე გია
13. ბჟალავა ნოდარი

### №22
**ყულევი**

1. **სიჭინავა მარინე** თავმჯდომარე
2. **ჯახუა ლელა** მოადგილე
3. **მიქაძე ეკატერინე** მდივანი
4. ხარჩილავა ქეთო
5. ოდებაშოღლი ნინო
6. კაკულია ლეილა
7. ლატარია ნატალია
8. ჩაკაბერია მარინა
9. ბაქრაძე ნათია
10. ფიჩხაია ნატო
11. კაკულია იზოლდა
12. ფიფია იამზე
13. გეგეჭკორი დალი

### № 23
**შუა ხორგა**

1. **ტაბაღუა გულნარა** თავმჯდომარე
2. **ტაბაღუა გოგი** მოადგილე
3. **ჯობავა ნათელა** მდივანი
4. შელია მზიური
5. ყურუა მალხაზი
6. შონია კონსტანტინე
7. ლატარია მეტვარი
8. ცირდავა მაგული
9. ნადარაია გია
10. ჭანტურია ელგუჯა
11. გეგეჭკორი თამარი
12. შენგელია ლირა
13. ბერაია ბორისი

### №24
**ძვ. ხიბულა**

1. **ქავთარაძე ვალენტინა** თავმჯდომარე
2. **ჯიშკარიანი ერიდა** მოადგილე
3. **წურწუმია თენგიზი** მდივანი
4. კიტია რამინი
5. ხუბულავა ბირუტა
6. წურწუმია ფელიქსი
7. შონია დალი
8. ქვარაია მოკონა
9. ჯოჯუა ნინო
10. გოგინავა გოგი
11. მირცხულავა ვახტანგი
12. ღურწკაია ლაშა
13. ნარსია გალაქტიონი

### №25
**ხამისქური**

1. **ქირია თამაზი** თავმჯდომარე
2. **კუკავა ლელა** მოადგილე
3. **კაკულია ნანა** მდივანი
4. ქირია ბესიკი
5. ფარცვანია ქეთო
6. სიხარულია რიტა
7. პერტია ლევანი
8. ცატავა დავითი
9. ალანია გია
10. მირცხულავა რომანი
11. ქირია ვალერი
12. კაკულია თეიმურაზი
13. ფარცვანია ელდარი

### №26
**ხეთა**

1. **ბუკია გორიკო** თავმჯდომარე
2. **შანავა გოჩა** მოადგილე
3. **ჭუმბურიძე თამარი** მდივანი
4. მარგველანი ნონა
5. ქირია ფატმანი
6. ტურავა ჯუმბერი
7. ბაძაღუა მანანა
8. ხასია მარინა
9. ლემონჯავა ლევანი
10. ბუბუტეიშვილი გულნარა
11. კოდუა ვალერი
12. ბაჩილავა თეა
13. ქირია ია

### № 27
**ხეთა**

1. **ლატარია ბონდო** თავმჯდომარე
2. **ნარსია ნათელა** მოადგილე
3. **შანავა ნინო** მდივანი
4. ლომაია ნანა
5. ბუკია რომანოზი
6. ლატარია თეა
7. ვართაგავა ცოტნე
8. ლატარია თენგიზი
9. თევზაძე დალი
10. ზარანდია მაია
11. გაბრავა სოსო
12. ოყუჯავა ზურაბი
13. ნარსია ბეჟანი

### №28
**ქ. ხობი**

1. **ნადარაია ბეჟანი** თავმჯდომარე
2. **ჭითაშვილი ვლადიმერი** მოადგილე
3. **ბერაია ბესარიონ** მდივანი
4. ცხადაია ნაირა
5. სერგია დალი
6. ღვინჯილია ნანი
7. ჩიტაია გიგლა
8. ძაძამია შორენა
9. გაბრავა მზია
10. ქირია მამისა
11 ვეკუა მზია
12. ბუკია ნანა
13. თათარიშვილი კობა

### №29
**პირველი მაისი**

1. **ცხადაია ნინო** თავმჯდომარე
2. **კვიკვინია გიგლა** მოადგილე
3. **ტუფურია ნანა** მდივანი
4. ბუკია შორენა
5. ბუკია ლადო
6. გვასალია ნუნუ
7. ალექსანდრია ლელა
8. გაბისონია ნესტანი
9. გაბისონია კობა
10. ხასია გულვერი
11. ქანდარია ამირანი
12. კვიკვინია ვახტანგი
13. კუჭავა ნანი

### №30
**ნოჯიხევი**

1. **ჯორჯიკია გურიელი** თავმჯდომარე
2. **გერგაია თემური** მოადგილე
3. **მგალობლიშვილი ნატო** მდივანი
4. შულაია როზეტა
5. თათარიშვილი ნოზანა
6. ტყებუჩავა ქეთინო
7. ბალხამიშვილი ია
8. კიტია ეკატერინე
9. ჯაკონია ლონდა
10. ქარჩავა ზაზა
11. ცქირია მანონი
12. გერგაია ქეთევანი
13. გერგაია მარია

### № 31
**პატარა ფოთი**

1. **ქამაშიძე ვაჟა** თავმჯდომარე
2. **მამულაძე რამაზ** მოადგილე
3. **ქამაშიძე ამირანი** მდივანი
4. პაიჭაძე ფატი
5. ქამადაძე ზურაბი
6. მამულაძე თენგიზი
7. მანველიძე ხათუნა
8. ცეცხლაძე იამზე
9. რობაქიძე ნანა
10. რობაქიძე მზია
1. ხილაძე შორენა
12. ქამაშიძე ნოდარი
13. დუმბაძე ზებური

### № 32
**ჭალადიდი**

1. **სესკურია მანანა** თავმჯდომარე
2. **ჯიშკარიანი გულნაზი** მოადგილე
3. **კუჭავა ლარისა** მდივანი
4. გურგენიძე ეკატერინე
5. ქვარცხავა ნონა
6. არჯევანიძე მანანა
7. ქარელი მაია
8. გიგაშვილი გიორგი
9. ჭელიძე ჭაბუკა
10. ჭელიძე ზაირა
11. ბლიაძე ლია
12. ზარგინავა სოფიო
13. გელენიძე ოთარ

**მ. ლომაია**
**№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე**

## სოფელი

**ცხოვრება დროის შესაფერისად იცვლება, იცვლება ქალაქებისა თუ სოფლების იერ-სახე, რაც ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსებშიც იგრძნობა. განსაკუთრებით კი ისეთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ყოველდღიურობაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად სინათლე და წყალია, თუნდაც პენსიები, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების დახმარებები, სამედიცინო დაზღვევა, მომსახურება და სხვა...**

**ცხოვრების რიტმს მიუყვება ხობის მუნიციპალიტეტის სოფლები, რომლის ერთ-ერთი ტერიტორიული ერთეული სოფელი შუა ხორგაა, რომელსაც რამდენიმე წელია ამავე სოფლის მკვიდრი, განათლებული და ენერგიული, საუკეთესო ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება როლანდ ჯიქია ხელმძღვანელობს.**

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარი სოფლის თავკაცი როლანდ ჯიქია გახლავთ. მასთან საუბარში გავარკვიეთ ის, რაც ამ სოფელში გაკეთდა და უახლოეს მომავალში უნდა გაკეთდეს.**

სოფელ შუა ხორგას მდინარე ხობისწყალი ორ ნაწილად ჰყოფს. მას აღმოსავლეთით სოფლები პირველი ხორგა და ახალსოფელი, დასავლეთით ქარიატა, სამხრეთით ჭალადიდი, ხოლო ჩრდილოეთით–პირველი მაისი ესაზღვრება. მისი ტერიტორია 1890, 15 ჰექტარზე ვრცელდება. კომლთა რაოდენობა 480-ია 1470 მცხოვრებით. სოფლის მოსახლეობის რაოდენობას 142 იძულებით გადაადგილებული პირი ემატება.

სოფელში ერთი საჯარო სკოლაა (დირექტორი გულნარა ტაბაღუა), სადაც სწავლა–განათლებას 279 მოსწავლე ეუფლება. ამ სკოლამ ერთ-ერთმა პირველმა დანერგა კომპიუტერული სწავლება. კომპიუტერებითა და დგამ–ავეჯით სკოლის უზრუნველყოფა ყულევის ტერმინალის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი, რაც სკოლის დირექტორის უდიდესი დამსახურებაა. სოფელში არსებობს ორი საბავშვო ბაღი (გამგე ინეზა ესებუა) 44, ხოლო ყორათის უბანში (გამგე ნაირა ბერაია) 15 აღსაზრდელია.

სოფლის მშრომელთა ჯანმრთელობას, მათ სამედიცინო მომსახურებას სამედიცინო პუნქტი (ექიმი ირმა ჯობავა, მედდა ელისო დოლბაია) ემსახურება.

მრიცხველები (ნაწილი დამონტაჟებულია), შემოღობილიქნა მინისტადიონი საშელიოს უბანში.

მიმდინარე წელს ამ პროგრამის განხორციელებით უპირველეს პრიორიტეტად მიჩნეულია გამოღმა შუა ხორგაში სანიაღვრე არხების ამოწმენდა. ყორათის უბანში მინისტადიონის შემოკავება, გაღმა შუა ხორგაში წყლის მილების შეძენა. გაღმა შუა ხორგაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილია 12 000 ლარი, რომელიც მოხმარდება მილების შეძენას, სხვა სამუშაოებისათვის სამწუხაროდ, ეს თანხა არასაკმარისია. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ სოფელს დახმარება აღუთქვა. ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგ გაღმა შუა ხორგას სასმელი წყლის პრობლემა მოეხსნება, რაც ძალზე აუცილებელი და უპირველესი გადასაწყვეტია.

სოფელში კიდევ ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, ეკლესიის მშენებლობა, რომელიც დაიწყო, ხორციელდება ფოთისა და ხობის ეპარქიის ეპისკოპოს, მეუფე გრიგოლის ლოცვა–კურთხევით. მის აშენებას სათავე დაუდეს ამ სოფლის მკვიდრის, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს

## გაკეთებულიც ვნახოთ და გასაკეთებელიც!..



ქ. ფოთში დაღუპული ახალგაზრდის ზვიად დათუაშვილის მშობლებმა. ზვიადი ფოთში სამხედრო გემზე მუშაობდა. დაღუპული შვილის სახელის უკვდავსაყოფად მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს მის სამოსახლო მიწის ნაკვეთზე ღვთის ტაძარი აეშენებინათ. დაიწყო ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის მშენებლობა. იმედია, უფლის მადლითა და კეთილი ადამიანების შემწეობით, სოფელში უახლოეს მომავალში ტაძრის მშენებლობა დასრულდება. მის მრევლს ღვთის შეწევნა არ მოაკლდება.

შუა ხორგაში უამრავი პრობლემა დაგროვდა. მისი გადაწყვეტა ეტაპობრივად ხორციელდება. ამჯერად მნიშვნელოვან ყურადღებას სამურღულიოს უბანი ითხოვს. კერძოდ, 12 წელიწადია ამ უბანში მდინარე ხობისწყალმა ხიდს გამოაცლა დამცავი ჯებირი (დამბა, დაახლოებით 50 გრძ. მეტრი). ამ ხნის განმავლობაში მდინარე კალაპოტიდან ორჯერ გადმოვიდა და მოსახლეობის საცხოვრებელი თუ საყანე ფართობები დატბორა. საქმე დაჩქარებას ითხოვს. ალბათ, ზემდგომი ორგანოები სოფლის მაცხოვრებელთა ინტერესებს გაითვალისწინებენ. ასევე შველას ითხოვს საბავშვო ბაღის შენობა, რომელსაც ძლიერმა ქარიშხალმა ჩამოუნგრია ფანჯრები, დააზიანა სახურავი, ბაღს გაუსაძლის პირობებში უწევს მუშაობა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ თავად ნახა საბავშვო ბაღის შენობა და თანამშრომლებს შეჰპირდა საქმის უახლოეს მომავალში მოგვარება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოფლის ბიბლიოთეკა მთელს მუნიციპალიტეტში საუკეთესო წიგნადი ფონდით გამოირჩევა. მის წიგნსაცავში თერთმეტიათასამდე წიგნია. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ქალბატონი დარეჯან ჯობავა.

სოფლის ძირითადი შემოსავლის წყარო მესიმინდეობა და მესაქონლეობაა. ადრე, როცა მოსახლეთა უმრავლესობა დასაქმებული იყო ყულევში შავი ზღვის ტერმინალის მშენებლობაზე (თითქმის 100 ადამიანი), ოჯახებს შემოსავლის წყარო ჰქონდათ. დღესდღეობით იქ ამ სოფლიდან მხოლოდ 10 ადამიანი მუშაობს, როგორც ჩანს, აქ დღემდე უპირველესი დასაქმების პრობლემაა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმუშევარია და იმედის თვალით შეჰყურებს ანაკლიის სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის პროექტის განხორციელებას, რადგანაც აღნიშნული კვანძის სატვირთო აეროპორტის ნაწილი ამ სოფლის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს. თუ ეს პროექტი განხორციელდება, ამ მშენებლობაზე მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმდება. იმედია, ეს ასე იქნება,–ამბობს სოფლის თავკაცი.

სოფლისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ფეხბურთის სტადიონი შუა ხორგაში აქვთ. წლების წინათ თუ სოფლის ყველაზე მტკივნეული პრობლემა გზა იყო, დღეს სოფელზე გამავალი გზა, რომლის მანძილი 12 კილომეტრია, გარემონტდა მუნიციპალიტეტის ხობის გამგეობის მხარდაჭერითა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით. დღეს ეს გზა თანამედროვე სტანდარტებს ექვემდებარება და რასაკვირველია, კვლავ ძველებურად დატვირთულია.

გასულ წელს სოფლის საკრებულომ მოსახლეობასთან შეთანხმებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხა მაქსიმალურად გამოიყენა. უპირველესად შეკეთდა სოფლის სტადიონის გასახდელი, ამოიწმინდა სანიაღვრე არხები, შეძენილიქნა წყლის

შუა ხორგელები სიახლეებისა და აღთქმულის შესრულების მოლოდინში არიან, მათ სჯერათ კეთილი ადამიანების, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების, რადგან სოფლის აღორძინება ხვალინდელი დღის პრიორიტეტია, რაშიც მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს.

სოფელში პრობლემებია, მაგრამ გაკეთებულიც ბევრია, ვისაც დანახვა უნდა, ადვილად შეამჩნევს. ძველ ბერძნებს უთქვამთ: „ღმერთი იმას აბრმავებს, ვისაც დანახვა არ უნდაო“. ასე, რომ სასურველია, გაკეთებულიც ვნახოთ და გასაკეთებელიც.

**ნანი კილასონია.**

## „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ — ხალხის ნების გამოხატულება

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №241 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხობის თვითმმართველობას გამოუყო 724.8 ათასი ლარი, რომელიც განაწილებულია მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის უბნებზე.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ შედგენილია მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე. მასში გათვალისწინებულია გზების, ხიდ-ბოგირების, წყალსადენების შეკეთება, ცენტრის კეთილმოწყობა, სანიაღვრე არხების ამოწმენდა, სტადიონების მოწყობა და სხვა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესაბამისად სოფელ ახალ სოფელში სამუშაოების ჩასატარებლად გამოყოფილია 29 ათასი ლარი, მათ შორის გზების შესაკეთებლად 11.7 ათასი ლარი, ხიდბოგირების შესაკეთებლად 9 ათასი ლარი და წყალსადენის რეაბილიტაციისათვის 8.2 ათასი ლარი.

***სოფელ ახალ ხიბულაში*** სულ გამოყოფილია 40.6 ათასი ლარი, მათ შორის ხიბულის ცენტრის კეთილმოწყობისათვის 12.8 ათასი ლარი, გაშფერდის უბანში სტადიონის შემოსაკავებლად 13.9 ათასი ლარი, ზუბის უბანში მოსაცდელის მოსაწყობად 7.9 ათასი ლარი, ცენტრის კეთილმოსაწყობად 3.8 ათასი ლარი, სასაზღვრო ფირნიშის მოსაწყობად 2.4 ათასი ლარი.



***სოფელ ბიაში***–გამოყოფილია 21 077 ლარი, მათ შორის გზების შესაკეთებლად 8.3 ათასი ლარი, შიდა გზები შეკეთდება საშონიოს, ზემო ბიისა და ბიის დასახლებაში, მოსაცდელის მოწყობა განხორციელდება ბიის ცენტრში თანხით 5.5 ათასი ლარი. ასევე, ხორციელდება წყალსადენის გამრიცხველიანება ბიისა და საშონიოს უბანში (7.1 ათასი ლარი).

***სოფელ პირველ მაისში***-გამოყოფილია 45 223 ლარი, მათ შორის გზების რეაბილიტაციისათვის 25 229 ლარი, საკვიკვინიოს უბანში 7 174 ლარი, ჭიხუს უბანში 7 981 ლარის და ცენტრალურ უბანში 10 074 ლარის, ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 6 340 ლარი. სტადიონის შემოსაკავებლად კი 7 802 ლარი და სანიაღვრე არხების ამოსაწმენდად 5 852 ლარი.

***სოფელ გურიფულში***–სულ გამოყოფილია 23 814 ლარი, მათ შორის გზის რეაბილიტაციისათვის 2 462 ლარი, ცენტრის კეთილმოწყობისათვის 7 943 ლარი, სტადიონის შემოსაკავებლად 8 423 ლარი, სანიაღვრე არხის ამოსაწმენდად 1 293 ლარი და სასაფლაოს შემოსაკავებლად 3 693 ლარი.

***სოფელ ზემო ქვალონში*** გამოყოფილია 20 772 ლარი, მათ შორის გზის რეაბილიტაციისათვის 10 635 ლარი, საალანიოს, საფაჩულიოსა და ზემო ქვალონის უბნებში, ასევე ზემო ქვალონის უბანში ჭაბურღილის მოწყობა განხორციელდება 2 926 ლარის, სახოჭოლავოს უბანში განხორციელდება სტადიონის შემოკავების სამუშაოები 3 773 ლარის და მოეწყობა მოსაცდელი 3 438 ლარის ღირებულებით.

***სოფელ თორსაში*** უნდა განხორციელდეს 32 477 ლარის სამუშოები. მათ შორის გზების შეკეთებაზე 11 452 ლარი, ცენტრის კეთილმოწყობაზე 8005 ლარი და სტადიონის შემოსაკავებლად 13 020 ლარი.

***სოფელ ნოჯიხევში*** უნდა განხორციელდეს 57 858 ლარის სამუშაოები. მათ შორის ნოჯიხევისა და დასახლების უბნებში ცენტრის კეთილმოწყობაზე 27 938 ლარი. ხიდბოგირების რეაბილიტაციისათვის 12 039 ლარი, რომელიც გათვალისწინებულია ზენისა და ნაფოშტუს უბანში, ასევე უნდა განხორციელდეს წყალსადენის გამრიცხველიანება კუთხე ნოჯიხევის უბანში 6 062 ლარის ღირებულებით, სანიაღვრე არხის ამოსაწმენდად გამოყოფილია 11 819 ლარი, რომელიც უნდა ჩატარდეს ზენის, კუთხე ნოჯიხევისა და ნოჯიხევის უბნებში.

***სოფელი პატარა ფოთი***–გამოყოფილია 50 118 ლარი, მათ შორის პატარა ფოთის გზის რეაბილიტაციისათვის 8 326 ლარი, სტადიონის შემოსაკავებლად– 15 665 ლარი, სანიაღვრე არხის ამოსაწმენდად –4 707 ლარი, ხოლო შავღელეს უბანში წყალსადენის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 21 420 ლარი.

***სოფელი პირველი ხორგა***–გამოყოფილია 13 886 ლარი, მათ შორის ცენტრის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილია 5 263 ლარი და მოსაცდელის მოსაწყობად კი–8623 ლარი.

***სოფელი საგვიჩიო***–სულ გამოყოფილია 13 158 ლარი, მათ შორის გზის რეაბილიტაციისათვის 9 753 ლარი და ცენტრის კეთილმოწყობისათვის 3 405 ლარი.

***სოფელი საჯიჯაო***–გამოყოფილია სულ 62 180 ლარი, მათ შორის გაღმა საჯიჯაოს უბნის გზის რეაბილიტაციისათვის – 5 852 ლარი, ხიდბოგირების აღსადგენად 2 8091 ლარი, კერძოდ, ზენის უბნისთვის 20 993 ლარი და ზუბის უბანში 7098 ლარი, კერძოდ, გაღმა საჯიჯაოს, ზუბის და ჯაპიშარის უბნებში სტადიონის შემოსაკავებლად გამოყოფილია 26 065 ლარი. გათვალისწინებულია გაღმა საჯიჯაოში მოსაცდელის მოწყობა 2 172 ლარის ღირებულებით.

***სოფელ ქარიატაში*** გათვალისწინებულია 19 787 ლარი, საიდანაც გაღმა ქარიატაში 12 346 ლარი გათვლილია სასაზღვრო სვეტისა და საბავშვო ბაღის აღდგენისათვის. საბავშვო ბაღის რემონტისათვის გათვალისწინებულია 10 123 ლარი, ხოლო გამოღმა ქარიატისათვის გამოყოფილია 7 441 ლარი, გზების რეაბილიტაციისათვის 3 901 ლარი და წყალსადენის აღსადგენად 3 540 ლარი.

***სოფელ ქვემო ქვალონში*** გათვალიწინებულია 61 182 ლარის სამუშაოები, სადაც გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 5 635 ლარი ბულიშისა და დურღენას უბანში, წყალსადენის რეაბილიტაციისათვის 32 826 ლარი, გიმოზგონჯილის, გვიმარონისა და დურღენას უბნებში, ცენტრის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილია 7 214 ლარი, გიმოზგონჯილის, ბულიშისა და დურღენას უბანში გათვალისწინებულია 7 802 ლარის ღირებულებით წყალსადენის გამრიცხველიანება, ხოლო ჭითაუშქურის უბანში სასაფლაოს შემოკავება 7705 ლარის ღირებულებით.

***სოფელი ჭალადიდი***–გამოყოფილია 49 827 ლარი, გზის რეაბილიტაციისათვის 43 790, რომელიც გათვალისწიონებულია საბაჟოს, საქორქიოს, საღვამიჩაოს და საჭოჭუოს უბნებში, ასევე საღვამიჩაოსა და საჭოჭუოს უბნებში გათვალისწინებულია სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები 6 037 ლარის ღირებულებით.

***სოფელ ყულევისათვის*** გამოყოფილია 7 705 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს სასოფლო კლუბის რემონტს.

***სოფელ შუა ხორგისათვის*** გამოყოფილია 33 263 ლარი, მათ შორის ხიდ-ბოგირის აღსადგენად გამოღმა შუა ხორგაში 6 827 ლარი, სანიაღვრე არხის ამოსაწმენდად 7 224 ლარი, გაღმა შუა ხორგის უბანში წყალსადენის აღსადგენად მილების შესაძენად 12 123 ლარი და ყორათის უბანში სტადიონის შემოსაკავებლად 7 0898 ლარი.

***სოფელი ძველი ხიბულისთვის***–გამოყოფილია 14 903 ლარი, სადაც გათვალისწინებულია გზის რეაბილიტაციისათვის 9051 ლარი და ხიდბოგირების აღსადგენად 5 852 ლარი.

***სოფელ ხამისქურისთვის–*** გამოყოფილია 38 512 ლარი, სადაც გათვალისწინებულია გზის რეაბილიტაციისათვის 24 298 ლარი, რომელიც უნდა შესრულდეს ხამისქურის, საკუკაოს და საქირიოს უბნებში, წყალსადენის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 8364 ლარი, საქირიოს უბანში სტადიონის შემოსაკავებლად გათვალისწინებულია 5 850 ლარი.

***სოფელი ხეთისთვის***–გამოყოფილია 71 383 ლარი, სადაც გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 27 786 ლარი, რომელიც უნდა ჩატარდეს ლარჩვის, ოხვამეკარის და ხეთის უბნებში, ხეთის უბანში ხიდ-ბოგირის აღსადგენად გამოყოფილია 2 901 ლარი, წყალსადენის რეაბილიტაციისათვის კი 30 835 ლარი, რომელიც უნდა განხორციელდეს ლარჩვის, ნოჩხონის, წინაგოლის და ხეთის უბნებში, ასევე გათვალისწინებულია ოხვამეკარის უბანში განხორციელდეს სანიაღვრე არხის ამოწმენდა 2 437 ლარის ღირებულებით.

ამდენად, სულ რაიონში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესაბამისად გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 208 342 ლარი, ხიდბოგირების აღსადგენად 71 079 ლარი, წყალსადენის რეაბილიტაციისათვის 117 325 ლარი, ცენტრის კეთილმოწყობისათვის 76 409 ლარი, სტადიონების შემოსაკავებლად 105 090 ლარი, მოსაცდელების მოსაწყობად 27 443 ლარი, ფირნიშის მოსაწყობად 2 387 ლარი, წყალსადენის გამრიცხველიანებისათვის 21 018 ლარი, სანიაღვრე არხის ამოსაწმენდად 39 361 ლარი, სასაფლაოების შემოსაკავებლად 11 898 ლარი, ჭაბურღილების მოსაწყობად 2 926 ლარი, სასაზღვრო ნიშნის მოსაწყობად 2 223 ლარი, საბავშვო ბაღების რემონტისათვის 10 123 ლარი, სასოფლო კლუბის რემონტისათვის 7 705 ლარი და ამბულატორიის ეზოს შემოსაკავებლად 3 953 ლარი. სულ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი 724 858 ლარიდან სამშენებლო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 706 782 ლარი.

დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სამუშაოებზე მზადაა ხარჯთაღრიცხვები და მიმდინარეობს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმება.

პროგრამის შესაბამისად სამუშაოები უნდა შესრულდეს უმოკლეს ვადებში და პროგრამა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 1 ივნისამდე.

***იური ბუკია,***
***მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.***

# „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“

ჩვენს კოპწია ქალაქ ხობში, 1997 წლის პირველ სექტემბერს გაიხსნა საერო სკოლა „არეა“, რომლის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ ახალგაზრდა, ენერგიული, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი ბეატრის რუსია.

ვინ არის ბეატრის რუსია?

იგი სენაკში დაიბადა საქართველოში ცნობილი, ნიჭიერი ხელმძღვანელისა და ქველმოქმედის, კეთილშობილი ადამიანის რომან რუსიას ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა ზემო ჭალადიდის საშუალო სკოლა, მიიღო უმაღლესი განათლება, გახდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და საზოგადოებრივ–სასარგებლო შრომაში ჩაება. შემდგომ კი ხობში გათხოვდა, შუშანიების ცნობილი გვარის წარმომადგენელთან ოჯახი შექმნა.

ბეტას (ასე ეძახიან მას ახლობლები) სწამს, რომ „მასწავლებლის ტოლი ამქვეყნად არავინააო, აუწონავია მისი შრომა, ღვაწლი, მეტად – საპატიოც. იგი ერთნაირი რუდუნებით ზრდის მუშას, გლეხს, მექანიზატორს, მშენებელს, ექიმს, ინჟინერს და სხვებს... ჩემი იდეალი ლადამთავრებულთაგან ყველა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა. ეს განა ცოტაა?!



ამ სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე, დავით ფილიპია, ერთი დღით ელჩიც კი იყო. ამით ამაყობს სკოლის დირექტორი, ამაყობენ დავითის აღმზრდელებიც.

მე მას სკოლაში ვეწვიე.

***–ქალბატონო ბეატრის! დიდი ხანია თვალყურს გადევნებთ. ვხედავ, მესმის, როგორი თავდადებით ემსახურებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.***

– მოხარული ვარ, რომ ჩვენი საქმიანობით დაინტერესდით.

საერო სკოლა „არეა“ 1997 წლის პირველ სექტემბერს დავაფუძნეთ, ამ დღიდან არსებობს იგი. დღემდე მისი უცმოულოდნელი დაღუპვით გამოწვეული იარა; დათა ხურცილავა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს ტრაგიკულად შეეწირა.

„არეა“-ს პედაგოგები: გივი დევიძე, გელა გელაშვილი, ეკა მარშანია, რომლებიც ძალიან ახალგაზრდები წავიდნენ ამქვეყნიდან, გვიჭირს მათზე საუბარი, ეს დიდი ტკივილია ჩვენთვის.

მასწავლებელი იყო მუდამ, ასეა აქამდეც.

ქალბატონ ბეტას გულისნადებს საოცრადაა მისადაგებული პოეტ გიორგი წერეთლის სულისშემძვრელი სტრიქონები:

„რადგან, ოსტატო, მრუდე ხისგან ძელი
გამთალე,
თვალს თუ დაგაკლდეს, მე ვიქნები
შენი სათვალე,
მუხლს თუ დაგაკლდეს, შენს ყა
ვარჯნებს მეც მიმათვალე!“

სკოლის დირექტორი ამაყობს თავისი კოლექტივის წევრებით. ყვება თითოეულზე, ყოველ მათგანზე აქვს უტყუარი აზრი. ასე, მაგალითად, „თინა ჯალაღანია ჩემი მასწავლებელი იყო, მან გადამაწყვეტინა მეც ქართული ენა და ლიტერატურა მესწავლებინა, გვერდით დამიდგა, მასწავლა, დამარიგა. მისი უზომოდ მადლობელი ვარო.

***მანანა წულეისკირი***–თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, ჭკვიანი, განათლებული ადამიანიაო.

***ნატო გერგაია,***–სიცოცხლით სავსე, დაუზარელი, „არეას“ მომავალ მათემატიკოსებს უზრდისო.

თამილა გერგაია–კარგი სპეციალისტი, ნიჭიერი და ენერგიული მასწავლებელიაო.

***მედეა ქობალია***–მეცნიერულ ცოდნას ქრისტიანული რწმენით უღრმავებს მომავალ თაობას, სწორ მიმართულებას აძლევს ახალგაზრდობას, ბავშვების საყვარელი მასწავლებელიაო.

***მაგდა რატიანი***–ენერგიული და დაუზარელია, უყვარს თავისი საქმე და სხვასაც აყვარებსო.

***თამარ სოფრომაძე–*** შესანიშნავად ასწავლის რუსულ ენას, რუსულ კულტურას, შემოქმედი მასწავლებელიაო.

***თეა ბერაია***–სანიმუშო, დახვეწილი გემოვნების მაღალკვალიფიციური მასწავლებელიაო.

***შორენა ხვიჩია***–შავთვალება გოგონა, ყველას მოწონება დაიმსახურა, საჩვენებელი პედაგოგიაო. ჩვენს სკოლაში ყველა გამორჩეულიაო,–ამბობს იგი.

კარგად იცის დირექტორმა თითოეულის თვისება, ყოველ მათგანს ეფერება, ეალერსება. როცა საჭიროა აფრთხილებს, შენიშვნას აძლევს, საყვედურობს კიდეც, მაგრამ ისე, რომ არც ერთი მათგანი შეურაცხყოფილი არ დარჩეს, გაიგოს, მიხვდეს, გაასწოროს.

შრომაში, შემოქმედებით ძიებაში გავიდა 13 წელიწადი.

ამ ხნის მანძილზე „არეამ“ ბევრი გამოცდა ჩააბარა. იყო სიძნელე, იმედგაცრუება, მაგრამ ბეტა და მისი კოლექტივი არ შეშინებულა, გული არ გატეხია, იბრძოდა შემართული, თავაწეული ბეჯითად და თავგანწირულად. კოლექტივი მას მუდამ მხარში ედგა, რადგან ხედავდა ხელმძღვანელის გამჭრიახობას, ბრძოლის უნარს, თავდადებას. ამიტომაც გამოყვნენ მას და სწორედ ამიტომ იმარჯვებენ ხოლმე...

ვინ მოთვლის, რამდენი საჭირო ღონისძიება ჩაატარეს, რამდენჯერ გაახარეს მაყურებელი, მსმენელი.

ბეტას და მის კოლექტივს მხარში უდგანან მშობლები. მათი დამსახურებაცაა, რომ აქ მაღალი აკადემიური მოსწრებაა, უკანასკნელი წლების მანძილზე ამ სკოვლელი დირექტორი ვარ.

***– სკოლის დირექტორობა მეტად რთული და პასუხსაგები საქმეა. მასწავლებლობა კი–ადამიანის მოწოდება. ალბათ უფალმა ორივე ერთად დაგანათლათ–პასუხისმგებლობაც და მოწოდებაც.***

–პატარაობიდან ვოცნებობდი მასწავლებელი გავმხდარვიყავი. გავხდი კიდეც.

***–როგორია თქვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ვინ არიან ამ კოლექტივში?***

–სკოლა ახალგაზრდა პედაგოგებითაა დაკომპლექტებული. ისინი სიყვარულითა და თავდადებით ემსახურებიან მოსწავლეთა სწავლა-განათლების საქმეს.

***–ქალბატონო ბეატრის, ვიცი, ბევრი საინტერესო ღონისძიების ავტორი ხართ, ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც დაივლის თქვენს საკლასო ოთახებს, საგამოფენო კუთხეებს, ნახავს მოსწავლეთა ხელებით შექმნილ ექსპონატებს. მომიყევით ვრცლად თქვენი მუშაობის შესახებ.***

–სიამოვნებით. უკვე გითხარით, რომ კოლექტივი ახალგაზრდაა. ეს ყველაფერში იგრძნობა: ენერგია–უშრეტი, ამოცანები–უახლესი, მათი გადაწყვეტის ფორმა და მეთოდები– თანამედროვეობას მისადაგებული, წამოწყებები და ინიციატივები, თავდადებული შრომა. ყველა ამ საქმეში მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ. თავად სკოლის პედაგოგიური და მოსწავლეთა კლექტივებია ბევრი საინტერესო ღონისძიების ავტორი და სულისჩამდგმელი.

ჩვენ გვაქვს ჩვენი ღერბი, გვაქვს სასკოლო ფორმა, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს გამოარჩევს სხვათაგან. ჩვენი მიზანია უზრუნველვყოთ მოსწავლეებში ურთიერთგაგება, სხვაზე ზრუნვის უნარის გამომუშავება, მყარი დისციპლინა. ამ მიზანს ვაღწევთ კიდეც. ჩვენთან თითქმის გამორიცხულია დისციპლინის დარღვევის ფაქტი.

ამჟამად 200 მოსწავლე და 27 მასწავლებელი გვყავს, სკოლაში სამი უცხო ენა ისწავლება, ტარდება შიდასასკოლო ღონისძიებები, დავაწესეთ სტიპენდიები და შეღავათები, ვმონაწილეობთ და ვიმარჯვებთ რესპუბლიკურ ტურებში. ერთი სიტყვით–მოტივირებული ვართ ვისწავლოთ და ვასწავლოთ.

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების ახალი სისტემაა დამკვიდრებული, რომელმაც ძირეულად შეცვალა ცოდნის შეფასების კრიტერიუმი. ახალი სისტემა, ქულათა გამოყენება, უფრო მოქნილია და შეფასებაც უფრო ობიექტური გახდა.

უწყალო ბედმა ჩემი ოჯახიც არ დაინდო... პატარა პორმშო დავკარგე, რომელმაც უზომო ტკივილი მოგვაყენა, იგი ახლა მეექვე კლასში იქნებოდა... მისმა ამქვეყნიდან წასვლამ ყველა პატარა შვილად მიქცია, ყოველ მათგანში ჩემს ირაკლის ვხედავ. ამ შეგრძნებამ გამაძლებინა, ძალა მომცა ბრძოლისა და შემოქმედებისა.

ჩვენმა კოლექტივმაც დიდი ტკივილი განიცადა ტკივილი, რომელსაც ვერავინ გაექცევა... მოუშუშებელია ჩვენი სკოლის მოსწავლის ნინო კობახიძის, შემდეგში ჩვენი სკოლის მასწავლებლის,

რაც შეეხება მომავალს, ის ჩვენს ხელთაა, სკოლაში საოცარი სითბო იგრძნობა, სხვადასხვა სოფლის შვილები - შეკრებილან აქ: პირველი მაისიდან, ხეთიდან, წინაგოლიდან, შუა ხორგიდან, საჯიჯაოდან, ბიიდან, ნოჯიხევიდან, გურიფულიდან, ქვალონიდან, პირველი ხორგიდან... ასევე, არიან ხობელი და სენაკელი მოსწავლეებიც. ერთი სიტყვით, მთელი რაიონი შეკრებილა და საერთო მეგობრობის ხიდი გადებულა.

რეფორმები ჩვენთვის უცხო არ არის, პირიქით, ყოველი დღე სიახლეებით არის სავსე. სკოლაში აკრძალულია მობილური ტელეფონის ტარება და ზედმეტი „ატრიბუტების“ გამოყენება. მიმაჩნია, რომ სკოლას სასწავლებლის სახე უნდა ჰქონდეს და არა სამოდელო სკოლისა, ჩვენ ყველას უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ, ჩემი აზრით მოსწავლე და მასწავლებელი უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, დიდი საყურეებით და ნაადრევად „გაზაფხულებული“ გოგონების სკოლაში სიარული ცოტა არ იყოს, შემაწუხებელიცაა. ყველამ ერთხმად, ერთად უნდა დავხვეწოთ და შევაჩეროთ მოდისკენ „ნამეტანი“ ლტოლვა მოზარდებისა. მართალია, ეს დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული ამას დიდი ენერგია და ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ ეს.

მოსწავლეებს აუცილებლად სჭირდებათ ინდივიდუალური მიდგომა, რჩევა, რათა „ნამეტანმა“ ინფორმაციებმა ნაადრევად არ იმოქმედოს მათ ფსიქიკაზე. ყოველთვის ერთი იყო ჩვენი მიმართულება: ინტელექტი, დისციპლინა, ურთიერთპატივისცემა, წესრიგი–ყველაფერი ერთად შერწყმული, ეს იქნება ძალიან ორიგინალური და საერთო ჯამში ჩამოყალიბდება ნამდვილი, ქართველი, კარგი, „თანამედროვე“ და ერუდირებული პიროვნება.

ამ რამდენიმე დღის წინ „არეაში“ საქველმოქმედო გამოფენა მოეწყო სახელწოდებით „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“ აქცია შესანიშნავად იყო ორგანიზებული საზეიმოდ მორთულ ეზოში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული. იგრძნობოდა, რომ კოლექტივმა ამ ღონისძიებაში თავისი სული და გული ჩადო.



აქციაზე წარმოდგენილი იყო ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები, ნაქარგები, კერამიკული ნაწარმი, დამუშავებული და დასამუშავებელი თექის ნივთები, სამკაულები, საუკეთესო იყო კუთხე, რომელსაც ერქვა „ჩვენი ხობი“.

მეორე მხარეს გამოეტანათ მოსწავლეთა ხელით დამზადებული კულინარული ნაწარმი: ტორტები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნამცხვრები, უალკოჰოლო სასმელი, წვენი, ხილის კომპოტი, სალათა, ტრადიციული ხაჭაპური და ვინ მოსთვლის კიდევ რა!

გულთბილად და სტუმართმოყვრულად გთავაზობენ ნახელავს „კულინარები“ ნარგიზა და ელენე სახეიშვილები (მერვეკლასელები), ნინო ქაჯაია (მესამეკლასელი), ნატა ფანჩულიძე (მეექვსეკლასელი), გვანცა ბუკია (მეოთხეკლასელი) თვალს ვერ მოსწყვეტ მესამეკლასელთა ნახელავ კრუასანს, ტორტს, ჩიტისრძეს, ხაჭაპურს (კლასის ხელმძღვანელი ნანა იოსავა). განსაკუთრებულია პირველკლასელთა ნობათი–სალათები, პიცა, ხილის აცმა, ნამცხვარი „ატამი“, ყველიანი კვერი, ფუნთუშა და სხვა (ხელმძღვანელი ია გოროზია).

***–როგორი ვაჭრობა გაქვს? ვკითხე გვანცა ბუკიას.***

–32 ლარი უკვე მაქვს. იმედია მოვუმატებ,–მეუბნება ღიმილით და ახალ კლიენტს პოულობს.

–სად ისწავლე თექის დამუშავება?–ვკითხე ვერიკო მიქიაშვილს.

–აქ, სკოლაში, – მიპასუხა და თავისი ნამუშევარი სიამაყით მაჩვენა.

შორიახლო დგანან და თავიანთ აღსაზრდელებს თვალყურს ადევნებენ „არეას“ მასწავლებლები, ინიშნავენ სტუმართა შენიშვნებს, წინადადებებს, მომავალი აქციები უკეთესად უნდა ჩავატაროთ!–ასე ფიქრობს ყოველი მათგანი.

აქციას დაესწრო მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა, გამგებლის მოადგილე ქალბატონი რალა ჩემია, ბატონი კახა ბუკია, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სტუმართა შორის იყვნენ მამა კირიონი, ბერ-მონაზონი სერგი, მამა ცოტნე.

„ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთო,–ასე დალოცა მასპინძლები მამა კირიონმა,–მისაბაძია თქვენი წინადადება, შემოსულ თანხას ხორგისა და პირველი მაისის ეკლესიების მშენებლობისათვის გადაცემის შესახებ. დიდი მადლობა თქვენ ამისათვის,–ბრძანა მამა კირიონმა. ლამაზად და გემოვნებით მოწყობილ სკოლის ეზოში დიდხანს ისმოდა რაჭული, მეგრული, კახური და იმერული სიმღერები. ამ სიმღერებს სენაკელი „არიელები“ ასრულებდნენ.

მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ეს სკოლაც სენაკში ქალბატონმა ბეატრის რუსიამ დააფუძნა და ასევე წარმატებით ხელმძღვანელობს მას.

***–ამდენი რამე გააკეთეთ, ასე ბეჯითად უძღვებით საქმეს. ჩემო კარგო, რატომ არ ჩანხარ ასე აქტიური, ასეთი საქმიანი? – ვეკითხები დირექტორს.***

–არ მიყვარს თავის გამოჩენა, საკეთებელს ხომ ვაკეთებ? თუ ვინმე დაინახავს, ხომ კარგი, თუ არა და, არც ამით გავაფუჭებ რამეს. ისე, რა თქმა უნდა, გეწყინება, როცა გრძნობ, ვერ გამჩნევენ, არაფერში გრევენ, ხშირად შენი კოლეგების გვერდით არ გასახელებენ და სხვა ამგვარი. ვთვლი, რომ ეს მათი პრობლემაა!

ბრძენმა ადამიანმა თქვა „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“.

–ჭეშმარიტად, ჩემო ბეატრის, ღმერთი გაგახარებს ოჯახში, წარმატებას მოგცემს საქმეში.

უმრავლოს ღვთისმშობელმა შენნაირი ქალბატონები დედასამშობლოს!

**ესაუბრა მერი აბრამია**

## გვწერენ

### დიდხანს იცოცხლეთ სხვათა იმედად

ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესები ჩვენს მუნიციპალიტეტშიც იგრძნობა. უკვე მერამდენე წელიწადია უფასო სამედიცინო სასწრაფო დახმარება ყველასათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ კიდევ არ მჯეროდა, რომ პაციენტებს ასეთი გულისხმიერებით და უანგაროდ ემსახურებოდა სამედიცინო პერსონალი. რაც თავს გადამხდა, დამარწმუნა იმაში, რომ თუკი დროულად მივმართავთ მათ, სიკვდილი ადვილად მარცხდება.

აგრონომი კაცი ვარ, ჩემი ცხოვრება შრომაში გავატარე, ამასწინათ ჯანმრთელობა შემერყა, როცა გონს მოვედი, სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმი თავად მაღალპროფესიონალი, ცნობილი ექიმი, მამის სეხნია ლევან ქავთარაძე დავინახე. იმედი მომეცა... მან პირველი დახმარება ადგილზე გამიწია, შემდგომ მედდა ლალი ალანიასთან ერთად სტაციონარში გადმომიყვანა... თერაპიულ განყოფილებაში (მთავარი ექიმი ვოვა ქანთარია) უფროსმა ექთანმა დინარა ლაგვილავამ, მედეა ქაჯაიამ, მარინა უბილავამ, ნანული ოდიშარიამ ყველაფერი გააკეთეს ჩემი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. პირველი დიაგნოზი, სისხლის მომოქცევის მოშლა, უტყუარი გამოდგა. რომ არა მედიკების მაღალი პროფესიონალიზმი, ჰუმანურობა და უანგარობა, მძღოლის ვალტერ ჭანტურიას საზრიანობა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი.

მადლობა უფალს, რომ ქვეყნად არსებობენ თქვენნაირი ადამიანები, რომელთაც სხვათა ხიცოცხლის გადარჩენა შეუძლიათ.

მადლიერი პაციენტების სიმრავლეს გისურვებთ.

დიდხანს იცოცხლეთ სხვათა იმედად!

**ორდენ გოგინავა**

### ჰიპოკრატეს ფიცის ჭეშმარიტი ერთგული

იშვიათად არსებობს ადამიანი, ვისაც შეხება არ ჰქონოდა ისეთი პროფესიის ადამიანთან, როგორიცაა ექიმი, რომელიც არა მარტო მკურნალი, არამედ ადამიანის იმედიცაა.

ხანდაზმულობის გამო ექიმი ჩემთვის მკურნალიცაა და დიდი იმედიც.

დევნილთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, პედიატრი სვეტა გვათუა მრავალგზის გამოცდილია, ის დიდების დიაგნოზშიც არასოდეს ცდება.

ქალბატონი სვეტა სოხუმშიც ანგარიშგასაწევი, მთავარი ექიმის მოადგილე, დაფასებული პიროვნება გახლდათ. ცნობილი მოვლენების შემდეგ ერთადერთი შვილით თავის სახელოვან დედ-მამის ჟუნა ფაჩულიასა და ბიჭუნა გვათუას ოჯახს დაუბრუნდა. სულიერად არ დაცემულა, დღემდე სოხუმში დაბრუნების რწმენით ცხოვრობს, ის არა მარტო კარგი მკურნალია, არამედ სულით მდიდარი, სიყვარულის სხივით გამთბარი და ამ სხივის უხვად გამცემი პიროვნებაა. ჰიპოკრატეს მედლის მფლობელი მისი ფიცის უანგარო ერთგული მსახურია.

მასთან საუბარიც კი მეტად სასიამოვნოა.

ჰეგელი ამბობდა: ადამიანში ყველაზე ულამაზესი მისი გონება და გულია. ვინც სვეტა გვათუას იცნობს, ყველა დამეთანხმება, ის მართლაც ყველაზე ულამაზესია... მადლობა მას პატარა და საჭიროების შემთხვევაში „დიდი“ პაციენტების მკურნალობისა და გულისხმიერებისთვის.

***კირილე ლაგვილავა.***

# ჯანმრთელობა

გვერდს უძღვება ექიმი თერაპევტი ვლადიმერ ქანთარია.

## როგორ დავეხმაროთ იმუნიტეტს

სამედიცინო ტერმინების ცოდნაში, კონკურსი რომ გაიმართოს, პირველ ადგილს, ალბათ, ვერავინ შეგვეცილება. თუ რამდენიმეჯერ გაცივდით, დასუსტებული იმუნიტეტის დიაგნოზს ნებისმიერი მეზობელი დაგისვამთ. გაზაფხულზე რომ იმუნიტეტი სუსტდება და მის მოსაძლიერებლად მედიკამენტების სმაა საჭირო, ვგონებ, ესეც ყველამ იცის. არადა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უმეტესობას წარმოდგენაც არ აქვს, რა დგას ამ უცხო ტერმინის მიღმა და რამდენად ეფექტურია ის წამლები, ხშირად დაუფიქრებლად, ექიმის რჩევის გარეშე რომ ვიღებთ. მოდი, ეს შეცდომა ერთად გამოვასწოროთ.

იმუნური სისტემის პათოლოგიები შეგვიძლია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ.

ყველაზე ხშირია ალერგიული დაავადებები. ამ დროს იმუნური სისტემა ზედმეტად აქტიურობს და მტვრის უბრალო ნაწილაკიც კი სისხლისმსმელი მტერი ჰგონია. ხატოვნად რომ ვთქვათ, ბელურას შურდულის ნაცვლად ქვემეხს ესვრის.

ზოგჯერ უძლეველ პატრულს ამოსაცნობი მექანიზმი უმტყუნებს და საკუთარ უჯრედებს მტრად მიიჩნევს, ამას კი შესაძლოა ის მოჰყვეს, რომ უმნიშვნელოვანესმა ორგანოებმა ფუნქციონირება ველარ შეძლონ. ასე ვითარდება აუტოიმუნური დაავადებები. ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ სახსრების, თირკმლების ზოგიერთ დაავადებას და შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთ ფორმას.

მესამე დიდი ჯგუფია იმუნოდეფიციტური მდგომარეობები. ამ დროს უცხოსა თუ მოღალატისთვის საკადრისი პასუხის გაცემის უნარია შესუსტებული და ორგანიზმი ბაქტერიებს, ვირუსებსა თუ სიმსივნეებს უვარდება ხელში. ამ ჯგუფში შედის პირველადი ანუ თანდაყოლილი იმუნოდეფიციტები (ასამდე ისეთი დაავადება, როცა იმუნიტეტის რომელიმე რგოლი დაბადებიდანვე არასწორად ფუნქციონირებს) და შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი ანუ შიდსი.

ზოგჯერ იმუნოდეფიციტის ხელოვნურად შექმნაა საჭირო. მაგალითად, ტრანსპლანტაციის შემდეგ, რათა ახალი ორგანო იმუნიტეტის მიერ გამოცხადებულ ომს გადაარჩინონ, ზოგჯერ კი ასეთი ეფექტი ზოგიერთი ტიპის მკურნალობას (მაგალითად, ქიმიოთერაპიას) ახლავს თან.

როგორც ხედავთ, იმუნოდეფიციტს თანამედროვე მედიცინა მხოლოდ მძიმე დარღვევას უწოდებს. მას, ისევე როგორც იმუნიტეტის სხვა პათოლოგიებს, სპეციფიკური, სპეციალისტის მიერ შერჩეული მკურნალობა სჭირდება. თუმცა ისიც უდავოა, რომ ყოველგვარი უქეიფობა, დაავადება თუ სეზონური ცვლილება იმუნურ სისტემაში გარკვეულ რყევებს იწვევს, – ვთქვათ, დიაბეტით დაავადებულებში ჩირქოვანი ინფექციები უფრო ხშირია, – თუმცა ამ დროს უმჯობესია, იმუნიტეტის მოძლიერების ნაცვლად ძირითადი დაავადების კონტროლზე ვიზრუნოთ, ხოლო გაზაფხულის უქეიფობასთან გასამკლავებლად იმუნიტეტის მოსაძლიერებელ ზოგად ხერხებს მივმართოთ.

- ვირუსებმა და ქრონიკულმა სნეულებებმა ამ მძიმე პერიოდშიც მშვიდად რომ განაგრძონ თვლემა, თქვენც ნორმალურად უნდა გეძინოთ. ქრონიკული უძილობა მკვეთრად აქვეითებს სასიცოცხლო ტონუსს და იმუნიტეტს უმძიმეს დარტყმას აყენებს.

- ჰაერივით აუცილებელია სუფთა ჰაერი. ორგანიზმმა საკმარისი ოდენობის ჟანგბადი რომ მიიღოს, ეცადეთ, ყოველდღე თითო საათი მაინც დაყოთ სუფთა ჰაერზე. ძილის წინ ოთახის განიავებაც არ დაგავიწყდეთ.

- კიდევ ერთხელ გადახედეთ რაციონს. სწორი კვება რომ ჯანმრთელობის საწინდარია, არაერთხელ გვითქვამს, გაზაფხულზე კი, თავადაც გეცოდინებათ, რაციონს ვიტამინებით გაჯერება სჭირდება. საბედნიეროდ, მათ საძებნელად შორს წასვლა ნამდვილად არ გვჭირდება – ადრე შემოდის მწვანილი, მხალეული, შემდეგ – ხილი და ბოსტნეული... ზამთარგამოვლილი დოვლათიდან ვიტამინებს შედარებით უკეთესად ინარჩუნებს მწვანე ვაშლი, კომბოსტოს მწნილი, ასკილი, ციტრუსები, შავი მოცხარი. არც რძემჟავა პროდუქტები დაგავიწყდეთ: ცოცხალი სასარგებლო ბაქტერიების შემცველი მაწონი, კეფირი, იოგურტი მხოლოდ ნაწლავების ნორმალურ მუშაობას კი არ ალადგენს, იმუნიტეტის გაძლიერებასაც უწყობს ხელს.

- გაკაჟდით. გაკაჟების მეთოდები მარტივია: კონტრასტული შხაპი, ტანის დაზელა... მთავარია, წყლის ტემპერატურა ნელ-ნელა, ყოველ 2-3 დღეში ერთხელ, თითო გრადუსით შეამციროთ 37 ჩ-დან 27-28 ჩ-მდე.

- თუ რომელიმე ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, დამოუკიდებლად მოქმედება არ ღირს. ცხადია, ქრონიკული სნეულება იმას არ ნიშნავს, თავი ინვალიდად იგრძნოთ, მაგრამ მისი კონტროლი აუცილებელია, ამისთვის კი ექიმთან ერთად უნდა შეიმუშაოთ გეგმა და განუხრელად მისდიოთ მას, თუნდაც თავს მშვენივრად გრძნობდეთ. ამით დაავადების პროგრესირებას ხელს შეუშლით და ცხოვრების ჩვეული რიტმის გაგრძელებასაც შეძლებთ. მოსალოდნელი საგაზაფხულო გამწვავების თავიდან ასაცილებლადაც კონკრეტულ რჩევას თქვენი ექიმი მოგცემთ.

იმუნიტეტის და, საზოგადოდ, ორგანიზმის მოსაძლიერებლად მედიკამენტებსაც ხშირად იყენებენ. ექიმებს ამის თაობაზე საერთო აზრი ჯერ კიდევ არ გააჩნიათ, ასე რომ, ზუსტად ვერ გეტყვით, ღირს თუ არა საპროფილაქტიკოდ რომელიმე ამ წამლის მიღება. ეს ექიმთან კონსულტაციის შემდეგ თავად უნდა გადაწყვიტოთ. სამეცნიერო ლიტერატურა კი სადღეისოდ ასეთ მონაცემებს გვაწვდის:

***პოლივიტამინები.*** ეს ნივთიერებები ძალიან მცირე ოდენობით გვჭირდება, სამაგიეროდ, მათ ნაკლებობას სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლია. ამერიკის პედიატრთა აკადემიაში მიაჩნიათ, რომ ერთ წელზე უფროსი ასაკის ბავშვთა უმრავლესობას ვიტამინების დამატებითი მიღება არ სჭირდება, ხოლო ქრონიკული დაავადებებისა და კვებითი დარღვების დროს მათი სმა აუცილებელია. თუ ზამთარში დიდხანს იავადმყოფეთ ან თავს განსაკუთრებით სუსტად გრძნობთ, ვიტამინები მართლაც კარგ სამსახურს გაგიწევთ.

***პრობიოტიკები.*** პრობიოტიკები სასარგებლო, ჯანმრთელი ადამიანის კუჭნაწლავში მცხოვრებ მიკროორგანიზმთა მსგავსი ცოცხალ ბაქტერიების ნაკრებია. არსებობს მონაცემები, რომ ისინი ეფექტურია დიარეის, საშარდე და საშოს ინფექციების, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის, შარდის ბუშტის კიბოს რეციდივის, ბავშვებში ატოპიური დერმატიტის (დიათეზის) სამკურნალოდ, თუმცა ეს წინასწარი მონაცემებია, მტკიცებულებით მედიცინას საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს. იმუნიტეტდაქვეითებულთათვის კი, როგორც უკვე ვწერდით, მათი გამოყენება შესაძლოა არცთუ უსაფრთხო აღმოჩნდეს.

## ტვინსაკვები ანუ სააზროვნო მენიუ



რა ვჭამოთ გამოცდების პერიოდში ძირითადად რა თქმა უნდა სტუდენტებსა და მოსწავლეებს აინტერესებთ. თუმცა ცხოვრება გამოცდას გამოცდაზე გვიწყობს. ჩვენი სხვენის ბინადარსაც ხშირად ვთხოვთ სწრაფ მობილიზაციას, და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. თანაც როდის მოხდება ეს წინასწარ ხშირად არავინ იცის. ასე რომ ტვინის სასარგებლო საკვებით განებივრება არასოდეს არის ზედმეტი.

ალბათ გახსოვთ, შერლოკ ჰოლმსი საქმის გახსნამდე ძვირფასი დროის დაზოგვის მიზნით საჭმელს საერთოდ არ ეკარებოდა, ტვინს კი მხოლოდ კონიაკით ასაზრდოებდა. მიბაძვა არც კი იფიქროთ, თორემ ორიანს ვერ გადაურჩებით და შეიძლება, საავადმყოფოს პალატაშიც კი ამოყოთ თავი.

ამთავითვე შევთანხმდეთ: საკვები საჭიროა, ხოლო თუ სწორად შეარჩევთ, წარმატების შანსი ერთიორად გაიზრდება.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის ერთობ პოპულარულია შეხედულება, რომ ინტელექტუალური განსაცდელის წინა საღამოს რაიმე ტკბილი უნდა მიირთვათ, თუნდაც შაქრის ნატეხი.

ტვინს მუშაობისთვის მართლაც ბევრი გლუკოზა სჭირდება. სუფთა შაქარი მყისვე სისხლში გადადის და შესაძლოა, ერთ წუთში ამოხსნათ ამოცანა, გაიხსენოთ დავიწყებული ფორმულა და ა. შ. თუმცა გლუკოზის მომატებაზე ორგანიზმი ინსულინის გამომუშავებით რეაგირებს და შაქრის დონეც სწრაფად დაიწევს, შრომისუნარიანობა მკვეთრად ქვეითდება, თავს სუსტად გრძნობთ, გამოცდის დროისთვის კი თქვენს სისხლში გრამი კი არა, მილიგრამი გლუკოზაც აღარ დარჩება.

იმედს მაინცდამაინც ნურც ყავაზე, კოკა-კოლასა და სხვა ენერგოტონიკებზე დაამყარებთ – ისინი ტვინს და ნერვებს კი არ კვებავს, ფიტავს, განსაკუთრებით – თუ დიდი დოზით მიიღეთ. შრომისუნარიანობის ხანმოკლე გაუმჯობესება კი ძვირად მიიღწევა.

მაშ, რაღა დაგვრჩა? გაგიკვირდებათ და იგივე, რაც მრავალჯერ გვითქვამს: ჯანსაღი საკვები და ცხოვრების წესი მხოლოდ ტანს კი არა, ტვინსაც რგებს. ასე რომ, არავითარი სიგარეტი, ალკოჰოლი და ლოგინში ნებივრობა. გამოცდების პერიოდში კი ტვინს უფრო მეტი მიაწოდეთ:

* თევზი – ვგონებ, ყველა დროისა და ქვეყნის დედები უჩიჩინებენ შვილებს, თუ გინდა, ჭკვიანი გაიზარდო, თევზი ჭამეო და არც ცდებიან. ერთხანს ამ გავლენას ფოსფორის მაღალ შემცველობას მიაწერდნენ, ბოლო ხანებში კი ნამდვილი მიზეზიც იპოვეს: ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები. ისინი ყველაზე მეტი ცივი წყლის ცხიმიან თევზებშია, ამიტომაც ქაშაყი, ორაგული, სარდინი, სკუმბრია, თინუსი თქვენი სუფრის სასურველი სტუმრები ბრძანდებიან. ხახვი, ლიმონის წვენი, მოხარშული ჭარხალი და ანტიოქსიდანტებით მდიდარი სხვა სურსათი დელიკატურ მჟავებს ეხმარება, დანიშნულების ადგილამდე მშვიდობით მიაღწიონ და არც სასარგებლო თვისებები შემოეფანტოთ.

* კვერცხი – მიუხედავად ქოლესტეროლის მაღალი შემცველობისა, როგორც ტვინსაკვები, ისინი ნამდვილად იმსახურებს ვერცხლის მედალს.

* ხილი – თუ მთელი დღის განმავლობაში ნება-ნება, ცოტ-ცოტას მიირთმევთ, ტვინი გლუკოზას თანაბარზომიერად მიიღებს, თქვენც უფრო ბეჯითად და, რაც მთავარია, ნაყოფიერად შეძლებთ სწავლას.

* წყალი – ტვინის 70% წყალია. რაც უფრო უკეთ დაარწყულებთ, მით უფრო უკეთ იმუშავებს. ამერიკელმა სპეციალისტებმა შეამჩნიეს, რომ მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ნება დართეს, ნებისმიერ დროს მისულიყვნენ სასმელი წყლის ავზთან, აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა;

* გინგკო ბილობა – ჩვენთვის უცხო მცენარეს აღმოსავლეთში უკვე ათასწლეულებია იყენებენ მეხსიერების გაუმჯობესებისთვის და ერთობ ეფექტურადაც. ის ტვინის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, ასე რომ, სააზროვნო ორგანო საბოლოოდ მეტ ჟანგბადს მიიღებს. რაკი ინდოეთში არ ვცხოვრობთ, ბაზარში მის შეძენას ვერანაირად ვერ მოვახერხებთ. სამაგიეროდ, შეგიძლიათ, აფთიაქში მიბრძანდეთ და ამ მცენარისგან დამზადებული პრეპარატები (ტანაკანი, ბილობილი) შეიძინოთ. უცაბედ სასწაულს ნუ ელოდებით, შედეგები 3-4 კვირის შემდეგ ხდება საგრძნობი.

## მოზარდები თამბაქოს ხაფანგში



რატომ დავიწყე? – 30-40 წლის ასაკში ამას ბევრი ეკითხება საკუთარ თავს. პირველმა რომანტიკამ გაიარა და ადამიანი ჩინებულად ხვდება, რამხელა დარტყმას აყენებს სიგარეტი მის ჯანმრთელობასა და ჯიბეს, არადა თამბაქომ ისე მყარად მოიკიდა ფეხი მის ცხოვრებაში, ისე მჭიდროდ მოუჭირა მონობის ბორკილი, რომ საკუთარ თავთან ბრძოლის დაწყებაც კი ეზარება.

"ნეტავ ეს ჭკუა თავის დროზე მქონოდა!" – გაიგონებთ ხშირად, თინეიჯერებს კი ეს ასაკი იმდენად შორს ეჩვენებათ, რომ დაფიქრების ღირსადაც არ თვლიან. სამწუხარო ფაქტი: თაობებს ერთმანეთის არ ესმით. და მაინც, რატომ იწყებენ ჩვენი შვილები თამბაქოს წევას და როგორ ავარიდოთ ისინი ამ საფრთხეს?

არიან ადამიანები, რომელთაც ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მათ შორის – თამბაქოს, გამოყენების მიმართ მიდრეკილება აღენიშნებათ. თუ მშობლები ეწევიან, პატარას შეიძლება დაბადებამდევე ჩამოუყალიბდეს ნიკოტინზე დამოკიდებულება, ხოლო როცა გაიზრდება და გემოს გაუსინჯავს სიგარეტს, გაცილებით ადრე მიეჩვევა მას და მეტადაც მიეჯაჭვება, ვიდრე არამწეველთა ოჯახში გაზრდილი თანატოლი.

და მაინც, გენეტიკა არ არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მწეველთა შვილები ნარკოტიკს ეტანებიან. მათ ხომ მშობლების მაგალითი აქვთ თვალწინ! შეგიძლიათ, დღედაღამ უკითხოთ პირმშოს ვრცელი ლექციები თამბაქოს მავნეობის შესახებ; ისინი გახვრეტილი შაურიანიც არ ეღირება, თუ შვილი ყოველ წუთას სიგარეტით ხელში გხედავთ. სულაც რომ არ უნდოდეს, სიგარეტს ის ქვეცნობიერად ელეგანტურობის (თუ დედა ეწევა) ან ვაჟკაცობის (როცა მამა აბოლებს) სიმბოლოდ აღიქვამს – ის ვერაფრით შეეგუება აზრს, რომ თქვენ არასწორად იქცევით.

ნარკოლოგებმა გამოთვალეს, რომ თუ ოჯახში სამი მწეველია, 80 პროცენტია ალბათობა, რომ მოზარდმა 12 წლიდანვე დაიწყოს თამბაქოს წევა, ხოლო თუ მის გვერდით ერთი ადამიანი ეწევა, რისკი 40 პროცენტს შეადგენს.

ბავშვი მოწევას არ დაიწყებს, თუ:

* უსმენთ და პატივს სცემთ მის აზრს.

მრავალი მოზარდი მხოლოდ იმისთვის იწყებს წევას, რათა მთელ ქვეყანას დაანახოს, რომ უკვე დიდია. ჩვენ მხოლოდ გეჩვენება, რომ ბავშვები მშობლების საუბარს არ უსმენენ. სინამდვილეში ყველაფერი, რაც ესმით, მათ გონებაში მოზაიკის ფრაგმენტებივით გროვდება. სწორედ ამ ფრაგმენტებისგან იკვრება შემდეგ ერთიანი სურათი – საკუთარი აზრი.

* ეხმარებით, რამეში მაინც იყოს თანატოლებზე წარმატებული და კომპეტენტური.

ირგვლივ მყოფთა შეხედულება მასზე მოზარდისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ბევრი სწორედ იმ მიზნით იწყებს წევას, რომ თანატოლების თვალში უფრო "მაგარი" და გამოცდილი გამოჩნდეს, მაგრამ თუ რაღაც გატაცება უკვე აქვს, თუ სხვებს უკვე სჯობნის (სხვებზე უკეთ სრიალებს გორგოლაჭებითა თუ თხილამურებით, თამაშობს ჭადრაკს, კარგად მღერის, კარგად ერკვევა კომპიუტერში), ავტორიტეტი ისედაც გარანტირებული აქვს, ასე რომ, სიგარეტი აღარ დასჭირდება.

შეამჩნიეთ, რომ თქვენი შვილი ეწევა... ცხადია, ერთი სული გაქვთ, გვარიანად გაჯოროთ და ყური აუწიოთ, მაგრამ რას გარგებთ ეს? გვერწმუნეთ, მუქარით ვერაფერს გახდებით.

პირველ რიგში, იმაზე დაფიქრდით, რას აძლევს თქვენს შვილს თამბაქო.

იქნებ მხოლოდ ის აინტერესებს, როგორი შეგრძნება ექნება... ასეთ შემთხვევაში მხოლოდ თვალყური ადევნეთ. ბავშვს ეს გატაცება მალე მობეზრდება.

ეგებ ჭარბი წონის მოცილებას ცდილობს? ეგებ პროტესტს აცხადებს მშობლების ძალადობის წინააღმდეგ? ან იქნებ სურს, "გამორჩეულთა" სიაში მოხვდეს? ასეა თუ ისე, რაკი მან მოწევა დაიწყო, თქვენ კი ეს კარგა ხნის შემდეგ შეიტყვეთ, ფაქტია: თქვენს შორის კედელი აღმართულა.

ლექციის კითხვას აზრი არ აქვს. სამაგიეროდ, ფრაზა: "შეიძლება, სერიოზულად ვისაუბროთ?" – კარგი დასაწყისია. თუ მაშინვე არ გამოტყდება, გულს ნუ გაიტეხთ. მთავარია მიახვედროთ, რომ მზად ხართ, მშვიდად, ყვირილის, ნოტაციებისა და ცემა-ტყეპის გარეშე ესაუბროთ.

გულდასმით შეარჩიეთ არგუმენტები. მძიმე დაავადებებით (რომლებიც 20-30 წლის შემდეგ დაემართება) მას ვერ შეაშინებთ. სამაგიეროდ, პერსპექტივა, რომ დამოკიდებული გახდება, არცთუ სასიამოვნოა; ნებისმიერი მოზარდი ხომ თავისუფლებისკენ მიილტვის. აუხსენით, რომ ნიკოტინური დამოკიდებულების გამო დამოუკიდებლობას დაკარგავს და საკუთარი სხეულისა და გონების ბატონ-პატრონი ველარ იქნება. აჩვენეთ, როგორ შეუშლის ხელს თამბაქო მიზნის მიღწევაში, პროფესიული კარიერა იქნება ეს თუ სპორტული ასპარეზი. გოგონებს შეგვიძლია მოვუყვეთ, რომ მწეველ დედებს მცირეწონიანი, სუსტი ბავშვები უჩნდებათ, მერე კი ერთი ექიმისგან მეორესთან მიჰყავთ, მაგრამ ვერაფერს შველიან... მოკლედ, მოსწიე, თუ გსურს, მაგრამ იცოდე, რა გელის წინ.

რა უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, მოზარდი, რომელსაც ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ანდეს, სწორ არჩევანს გააკეთებს.

## სიცოცხლის ფესვი



სიცოცხლის ფესვი ეს მცენარე სასიცოცხლო ენერგიასთან ასოცირდება. როგორც ჩანს, არც ჩინელებს გამორჩენიათ მისი უნიკალური თვისება, დაატრიალოს ორგანიზმში ენერგიის ქარიშხალი, და ამიტომაც უწოდეს "სიცოცხლის ფესვი".

იქნებ უკვე მიხვდით კიდეც – ლაპარაკია ჟენშენზე, რომელიც არაერთი საუკუნეა, სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება. მის ფესვში 100-მდე აქტიური ნივთიერება მოიპოვება, რომლებიც მეტად ეფექტურად მოქმედებს ორგანიზმის თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემაზე.

ჟენშენს იყენებენ როგორც მატონიზებელ, იმუნიტეტის გამაძლიერებელ, მასტიმულირებელ საშუალებას. იგი პოზიტიურ გავლენას ახდენს გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციაზე (არეგულირებს არტერიულ წნევას, გულის მუშაობას).

ამდენად, ჟენშენი ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ დაღლილობის (თუნდაც ქრონიკული დაღლილობის სინდრომის), გამოფიტვის, ხანგრძლივი და დაძაბული გონებრივი მუშაობის (მაგალითად, გამოცდებისთვის მზადებისას), ანემიის შემთხვევაში, ასევე – ინფექციის შემდგომ პერიოდში.

ჟენშენის გამოყენება მიზანშეწონილია სხვა პრეპარატების პარალელურად, რომლებიც რომელიმე (მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები) ქრონიკული ინფექციის სამკურნალოდ ინიშნება. ჟენშენის წყალობით მოძლიერებული ორგანიზმი გაცილებით იოლად იკურნება.

ასევე ეფექტურია "სიცოცხლის ფესვი" პროფილაქტიკის მიზნით გრიპისა და სხვა რესპირაციული ინფექციების ეპიდემიის დროს. ასე რომ, ზამთარში და ადრიან გაზაფხულზე, როდესაც იმუნიტეტი შესუსტებულია, ჟენშენის მიღება მეტად სასურველია.

ყველაზე ხშირად იყენებენ 10%-იან სპირტზე დამზადებულ ჟენშენის ნაყენს. შინაურ პირობებში ამ მცენარის ნაყენი შეგიძლიათ მოამზადოთ როგორც ცალკე, ისე სხვა მცენარეების ნაკრებთან ერთად. ნაყენის მიღება სასურველია ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. დაიხსომეთ, ძილის წინ ჟენშენის ნაყენის დალევა მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესაძლოა, გამოფხიზლდეთ და კარგა ხანს აღარ დაგეძინოთ.

მედალს ორი მხარე აქვს ანუ ჟენშენი მეტად სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ მართებული გამოყენებისას. იგი ასტიმულირებს ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა პროცესს, მათ შორის – სიმსივნურსაც, ასე რომ, მათთვის, ვისაც საშვილოსნოს მიომა, მასტოპათია ან კისტური წარმონაქმნები აქვს, ამ მცენარის ნაყენი სახიფათოც კია.

ჟენშენის გამოყენება არც მათთვის არის სასურველი, ვისაც მაღალი არტერიული წნევა აწუხებს.

ბოლო ხანს სამედიცინო საზოგადოება სულ უფრო ხშირად მსჯელობს იმის თაობაზე, სახიფათოა თუ არა ჟენშენი ორსულისთვის. ნაწილი ემხრობა მოსაზრებას, რომ ამ მცენარემ, გარდა იმისა, რომ საშვილოსნოს ტონუსის მატებას იწვევს, შესაძლოა, ნაყოფის განვითარების მანკებიც გამოიწვიოს. ამგვარად, თუ ფეხმძიმედ ხართ, ჟენშენი მხოლოდ გინეკოლოგის ნებართვის შემდეგ მიიღეთ.

არსებობს მცენარეული ნედლეული, რომლის ნაყენი ორსულთათვის არამც და არამც არ შეიძლება. ეს გახლავთ აბზინდა, ჟენშენი, წყლის იელი, კოწახური, გველის სურო, ლემა, კრაზანა, ვირისტერფა, ქრისტესისხლა, რეჰანი (ეთერზეთი), თავშავა, ღვია, ჟოლო (ფოთლები), ანგელოზა, გვირილა, კოჭა, არყის ხის კვირტები, ფიჭვის კვირტები, ალვის ხის კვირტები, ალოე, აბუსალათინის ზეთი, სენის ფოთოლი, ანისული, ძირტკბილა, სალბი. მათი ნაწილი დოზირებული მიღებისას (ანუ მაშინ, როდესაც ისინი ორსულთათვის ნებადართული ამა თუ იმ მედიკამენტის შემადგენლობაში შედის) სრულიადაც არ არის საშიში, მაგრამ როდესაც ნაყენს შინ ამზადებთ, სასურველია, ამ ნედლეულის გამოყენებისგან თავი შეიკავოთ.

ორსულებს "საშიში" მცენარეებისგან უმთავრესად ინტოქსიკაცია (მოწამლვა), საშვილოსნოს ტონუსის მატება, თირკმელების დაზიანება, ჰორმონული ბალანსის დარღვევა ემუქრებათ.

# ჩვენი სახელოვანი წინაპრები

## megruli simReris patriarqi

ძუკუ ლოლუას ცხოვრება და შემოქმედება იმის ნათელი დადასტურებაა, თუ ერთმანეთს როგორ უნდა შეერწყას ნამდვილი ერისკაცის პიროვნებაში მაღალი პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი შეგნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდი მოღვაწის შრომისა და



თავგანწირვის გარეშე ქართული სასიმღერო ფოლკლორის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დღეს ასე ანცვიფრებს მსოფლიოს, ჩვენამდე ვერ მოაღწევდა.

ძუკუ ლოლუას ხანმოკლე სიცოცხლე ბევრი საგულისხმო ფაქტებით არის დამშვენებული, თუნდაც მისი მოღვაწეობა აფხაზეთში, მომავალშიც კი სასიკეთოდ შეგვეხიდება, რადგან ახლო მომავალში, როცა ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები კეთილმეზობლობაში გატარებული საუკუნეების მადლს ვეღარსად გაექცევიან.

დიდი ლოტბარის ძუკუ ლოლუას ფიგურა საქართველოსა და აფხაზეთის ხელახალი დაახლოების გზაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს. საქართველოს დიდი პატრიოტი აფხაზი მოძმეების, მათი წესადათისა და სასიმღერო ფოლკლორის დამცველი და ქომაგი იყო. აფხაზური სიმღერები სცენიდან პირველად ბატონი ძუკუს ხელმძღვანელობით შესრულდა. მის გარშემო შემოიკრიბნენ შესანიშნავი აფხაზი მომღერლები, ეს ის დროა, როცა აფხაზეთში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მისი მოთავეები იყვნენ მაშო დადიანი–ანჩაბაძისა (შალვა დადიანის და) და ნიკო ჯანაშია (აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა). ძუკუ ლოლუასთან ერთად აფხაზ–ქართველთა ისტორიული ძმობის ტრადიციებს აღრმავებდნენ და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ რუსულ-გამთიშველ პოლიტიკას, ალბათ ამის შედეგიც იყო საგულისხმო ფაქტი, რაზეც ძუკუ ლოლუა თავის უბის წიგნაკში აღნიშნავდა „საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ძნელად მოიპოვებოდა ოჯახი, სადაც ქართულ სიმღერებს არ მღეროდნენ“.

ძუკუ ლოლუას მრავალფეროვან მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი ფონოგრაფზე ხალხური სიმღერების ჩაწერას ეთმობოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთი ჩანაწერი მიკვლეული არ არის, ასევე არ არის აღმოჩენილი მისი ლოტბარობით შესრულებული სიმღერების ფონოჩანაწერები, მხოლოდ შემონახულია მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთი უნიკალური ჩანაწერი, რომელსაც ძუკუ ლოლუას უნდა ვუმადლოდეთ (1907 წ. თბილისი).

გურული მომღერლების ჯგუფმა გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით სხვა სიმღერებთან ერთად გრამ-ფირფიტებზე ჩაწერა მეგრული სიმღერა. ცნობილია, რომ ეს სასიმღერო შედევრი „კუჩხი ბედინერი“ გ. ერქომაიშვილს ძუკუ ლოლუასაგან ჰქონდა ნასწავლი.

133 წლის წინ 1877 წლის 8 აპრილს, სოფელ ქვალონში ღარიბი აზნაურის ოჯახში დაიბადა ძუკუ ბახვას ძე ლოლუა. მამამისი შვილის დაბადებიდან ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა, დარჩა მეუღლე ჭამჭალა ჩიქვინიძე ხუთი შვილით. ჭამჭალა მთელს მხარეში განთქმული მეჩონგურე, მომღერალი და მომთქმელი იყო, იმ დროისათვის შესაფერისი მწიგნობრობით გამორჩეული ქალი. მან შეასწავლა შვილებს ქართული ანბანი, სიმღერა და ჩონგურზე დაკვრა. ძალიან მშრომელი ქალი იყო, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ათი წლის პატარა ძუკუ დედას ფიზიკური შრომით მოპოვებული ჯამაგირით ეხმარებოდა. დედამ თავიდანვე შენიშნა შვილის შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, მისი სურვილი იყო ბავშვს სასულიერო განათლება მიეღო. 1891 წელს პატარა ძუკუ დედამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანთან დავითნის შესასწავლად მიიყვანა. იმჟამად იქ იმყოფებოდნენ რჩეული მგალობლები: ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, გახა ჩიქოვანი, ალექსანდრე მგელაძე, ძმები კონტრიძეები, დავით ჯინჭარაძე და დიაკვნები კალისტრატე სარალიძე, სერაპიონ კალანდაძე და სხვები. 1892 წელს იგი ხობის მონასტერში ბერმონაზონ დავით ჯაშთან გაამწესეს.

ძუკუმ ისწავლა საეკლესიო მწიგნობრობა და გალობა. შემდგომ ათონის მონასტერში სწავლობდა ძველ სლავურ ენას და ბიჭვინთაში რუსი ბერების ხელმძღვანელობით მღვდელმსახურების დაწყებითი კურსი გაიარა, შემდეგ მოწმობით ხელდამშვენებული ბრუნდება ფოთში და 1894 წელს ეპისკოპოსმა სოფელ კოკში გაამწესა. შემდეგ კი სოფელ ჭალადიდში ეკლესიის მედავითნედ. „ამ სოფელში ყოფნამ ძალიან შემიწყო ხელი სხვადასხვა კუთხის ზნესა და ჩვევას, სიმღერა-გალობას გავცნობოდი,–იგონებს ძუკუ–ძალიან მონდომებული ვიყავი ხალხური სიმღერები შემესწავლა, ამიტომ არ ვერიდებოდი არავითარ ხარჯსა და დაღლას. სულ ვმოგზაურობდი, რათა ახალი სიმღერა მესწავლა“.

1895 წელს მან მუშაობა დაიწყო ფოთის საეპარქიო სკოლაში გალობის მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ გაემგზავრა ქუთაისში. 1895 წელს ძუკუმ შექმნა 24 კაციანი გუნდი და ორი თვის ინტენსიური მუშაობის შემდგომ კონცერტი ქუთაისის თეატრში გამართა. ეს იყო არა მხოლოდ ძუკუ ლოლუას გუნდის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის პირველი გამოსვლა სცენაზე, რითაც საზოგადოების დიდი ნაწილი აღტაცებული დარჩა. იმ დროინდელმა გაზეთმა „ცნობის ფურცელმაც“ სპეციალური წერილი მიუძღვნა. 1904 წელს ძუკუს სამოღვაწეო ასპარეზი ქალაქი სოხუმი გახდა, სადაც მან შესანიშნავი გუნდები ჩამოაყალიბა, ასევე გახსნა წიგნის სახლი „დიოსკურია“, სადაც თავს იყრიდნენ: იოანე კოზმავა (აფხაზი), ანთიმოზ ჯუღელი, ნიკო ჯანაშია, რაჟდენ ჩხარტიშვილი, მაშო დადიანი–ანჩაბაძე და იმჟამინდელი ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე. მეგობრების წრე ძუკუს მხარდამჭერნი იყვნენ, რამეთუ ძუკუმ სოხუმში ჩამოაყალიბა 80 კაციანი გუნდი, სადაც ყველა კუთხისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები მღეროდნენ. მათი რეპერტუარი ასე გამოიყურებოდა, აფხაზური სიმღერები: „აზარი“, „დაჭრილი სიმღერა“, „აფხაზური საცეკვაო“, „აფხაზური იერიში“, ასევე მუსიკალურ ინსტრუმენტებზე: „აიუმა“, აფხიერცა“, „აჭარპანზე“ შესრულებული სიმღერები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მსმენელებზე.

1771 წლის აგვისტოში თბილისის საზოგადოების წინაშე წარმატებით წარსდგა ძუკუ ლოლუას გუნდი და შედეგმაც არ დააყოვნა, იყო ტაში, ოვაცია. არც დედაქალაქის პრესა დარჩენილა გულგრილი. 1921 წელს ძუკუ ლოლუა განათლების კომისარიატის სახელოვნებო კომიტეტის მიერ სამეგრელოში მთავარ ინსტრუქტორად დაინიშნა. ამ პერიოდში შექმნა გუნდები ფოთში, სენაკში, დაბა აბაშაში, სოფელ აბაშაში, სუჯუნაში, ხეთაში, ხობში, სოფელ გურიფულში და ზუგდიდში. იგი ერთდროულად ქმნის გუნდებს ქუთაისში.

1924 წლის 9 აგვისტოს შემოქმედებით ზენიტში მყოფი ძუკუ ლოლუა გარდაიცვალა თბილისში მიხაილოვის საავადმყოფოში. ის ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს, ხოლო 1958 წელს მისი ნეშთი ქალაქ ფოთში იქნა გადმოსვენებული.

სწორუპოვარი ლოტბარი და მომღერალი, ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნე, შემგროვებელი, აღმდგენელი და პოპულიზატორი, სიმღერების ახალ ვარიანტთა შემქმნელი, საგუნდო საქმის უცდომელი ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, თეატრალიზებული სანახაობის ლიბეტროების ავტორი და დამდგმელი, მკვლევარი, ვირტუოზ მომღერალთა და ლოტბართა მთელი პლეადის აღმზრდელი, ნაყოფიერი ბელეტრისტი, მოყვასის ჭირ-ვარამის გამზიარებელი რაინდი–ასე იცნობდნენ ძუკუ ლოლუას მისი თანამედროვენი, დღევანდელი ფოლკლორისტიკის მიმდევრები დღესაც ასე აღიქვამენ მას.

ძუკუ ლოლუას ნამოღვაწარსა და მისი მოწაფეების შემოქმედებას დავიწყება არ უწერია, რამეთუ მუზეუმის ბაზაზე შექმნილი სიმღერა გალობის.

გიმნაზია არის ის წყარო, სადაც მოზარდ თაობას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია და ისწავლონ უფროსი თაობის ბიოგრაფია, შემოქმედება და სიმღერა ქართული.

მჯერა, მომავალ თაობას ძუკუ ლოლუას მიერ შექმნილი, ლირიზმით განმსჭვალული მეგრული, „ჩელა“ გაჰყვება როგორც ჰიმნი მეგრული სიმღერისა.

მრავალჟამიერ, სრული მგალობლისა და მეგრული ხალხური სიმღერის პატრიარქის, ძუკუ ლოლუას სახელი.

**ნანა ჯალაღონია,**
**ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“-ს დირექტორი.**

# მე და სამყარო

„რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველიხელმწიფე
სახითა მის მიერითა.“

სამყარო მრავლისმომცველი სიტყვაა, ლექსიკონში მას მრავალფეროვანი განმარტება ერთვება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამყარო საინტერესოა თავისი არსითა და შინაარსით.

ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა.

მე და ჩემი ოჯახი ამ ქვეყანაზე უფალმა მოგვავლინა, ღმერთმა გააჩინა სიყვარული, სითბო, ერთგულება, სიკეთე. სამყაროში დღესაც არსებობს სიკეთე და ბოროტება, თეთრი და შავი. ასე რომ, სამყარო საინტერესოა.

როდესაც ღამით გარეთ გავდივარ და ზეცას შევხედავ, ვფიქრობ, რამ განალაგა ეს ვარსკვლავები ასე? ეს ხომ ადამიანებს არ შეუძლიათ, ესე იგი, ისინი ჩვენთვის დიდმა განგებამ დახატა.

სამყარო სავსეა სხვადასხვა ფრინველებითა და ცხოველებით, ესეც სამყაროს უმშვენიერესი ნაწილია. მისი უძვირფასესი განძი და ქმნილება არის ადამიანი, რომელიც ღვთის ქმნილებათა გვირგვინია. ესე იგი, ჩვენ, ადამიანები, უნდა შევეცადოთ ჩვენივე კეთილი სურვილით ღირსეული ადგილი დავიკავოთ სამყაროში, უნდა მოვემზადოთ მარადიული ცხოვრებისათვის, ერის სადიდებლად.

***მარიამ ლომაია,***
***ხობის №1 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე.***

## სულთათანა

# კუკური ხუბულავა

ექვსი წელი გავიდა, რაც მისი სახე და მასთან ურთიერთობა მონატრებად გვექცა ახლობლებსა და მეზობლებს. კაცისა, რომელმაც თავისი სიცოცხლე სიკეთესა და ადამიანთა ერთგულებაში გაატარა. კუკური ხუბულავა ის პიროვნება იყო, რომელიც თავის და სხვის საქმეს ერთნაირად აკეთებდა, ჭირსა და ლხინში განზე დგომა არ უყვარდა, იყო კეთილი, უანგარო, მოსიყვარულე პიროვნება.



სოფელ ქვემო ქვალონში მამისის, ვარლამ ხუბულავას ოჯახი ოდითგან იყო ცნობილი. დედა მარგარიტა, სამი ჩინებული ვაჟის დედა, სოფელში პატივსაცემი და ანგარიშგასაწევი იყო.

უფროსი ძმა ვახტანგი დამსახურებული გეოლოგი გახლდათ. მახსოვს, საზღვარგარეთის ქვეყნები მოვლილი ჰქონდა და შორს გაჰქონდა საქართველოს დიდება. კუკურის ტყუპისცალი ედემი კი ინჟინერი იყო, ორივე ძმა თბილისში დამკვიდრდა, კუკურიმ კი მამაპაპეულ ოჯახს ხელი არ დააკლო, ფუძე უფრო გაამყარა, ოჯახს მოეკიდა. ზაირა თუთბერიძესთან ერთად სამი ღირსეული შვილი აღზარდა, გამორჩეულ კარ-მიდამოს, გამორჩეულად უძღვებოდა, ერთი ქალიშვილი და ვაჟი დააქორწინა, შვილიშვილებით ხარობდა, მაგრამ წუთისოფელი ტკივილის გარეშე ვის გაუვლია. უკურნებელ სენს ვერ მოერია, ნაავადმყოფარი, ფერმკრთალი და სიგამხდრეშეპარული გაეცალა აქაურობას.

დასანანია, ალალმართალი, დაუქანცავი, მეზობელ-ნათესავების სიყვარულით სავსე ადამიანი სიბერეს ვერ მოესწრო. ოჯახს ბოლომდე ვერ ჩაატანა სიტკბო, ჩვენდა მოსაფერებლად და სასიამოვნოდ დატოვა მისი პატიოსანი და საამაყო მონაგარი. მან ხომ ისეთი კეთილი ოჯახი დატოვა, როგორიც თავად იყო. კუკური ხუბულავა არასოდეს დაავიწყდება საზოგადოებას, ამის გარანტი მისი ოჯახია.

***კირილე ლაგვილავა,***
***ქვემო ქვალონი.***

ნანი კილასონია, გიორგი, თამუნა, ტატა და გოგი ბუკიები იუწყებიან სიძისა და ბიძის

**ვალერი უბირიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალთ.

გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ თანამშრომლები იუწყებიან რუსიკო ბუკიას მეუღლის

**ვალერი უბირიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის შვილებსა და შვილიშვილებს.

შპს „ხობის მოამბის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი კილასონიას, თამუნა და გიორგი ბუკიებს სიძისა და ბიძის

**ვალერი უბირიას**

გარდაცვალების გამო.

## სკოლამდელ დაწესებულებებში

# გაზაფხულს და მშვიდობას მიუძღვნეს

აპრილი დადგა, შვებით ამოისუნთქა ბუნებამ. ლამაზი, სანატრელია გაზაფხული წელიწადის უმშვენიერეს დროთა შორის. ბუნების გამღვიძებელი, სიცოცხლის მასაზრდოებელი. ამ დღეებში მისი სურნელი განსაკუთრებით იგრძნობოდა ჭალადიდის საბავშვო ბაღის კედლებში, სადაც აღსაზრდელებმა მაღალ დონეზე მომზადებული ღონისძიება წარმოადგინეს. გარდა გაზაფხულის მობრძანებისა, იგი სხვა დატვირთვის მატარებელიც გახლდათ...

საღამოზე მოწვეულები იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები...

ღონისძიება გაიხსნა ცეროდენა გოგო-ბიჭების შემობრძანებით, რომელთაც გაზაფხულის სურნელი შემოიტანეს კამელიებით, ყოჩივარდებით, იებით, ენძელებით... მარიმ, ლუკამ, დათომ, სანდრომ, ანუკიმ, ქეთიმ, გიორგიმ, თამუნამ, ნანიკომ, თინიკომ, ანუკიმ, საბამ, ნატამ მოგვილოცეს ბუნების გაღვიძება, „ვაზის ცრემლით“ მოსვლა გაზაფხულისა, რომელმაც სიხარული, სიყვარული და სილამაზე შემატა მშვენიერ დღეებს.

პატარებმა სცენაზე წარმოადგინეს დედამიწის მოდელი, როგორც ერთიანობის, მშვიდობისა და სიკეთის სიმბოლო... „მივანდოთ ამ თვალხატულა ბავშვებს დედამიწა, თუნდაც ერთი დღით, მივცეთ ეს ათასფერად მოხატული დიდი ბურთი, დაე, იმღერონ, ითამაშონ, რამდენიც უნდათ, მივანდოთ მათ ეს სილამაზე, დიდი სამყარო და ყველა ნახავს, რომ მხოლოდ ნდობას ძალუძს ქვეყნად ახაროს ბავშვის ხელით უკვდავებად დარგული ხენი“.

ლაღი და გულწრფელი იყო მათი სურვილებიც, მშვიდობის მაუწყებელი მტრედები დაფრინავდნენ, სიხალისეს, სილაღეს აფრქვევდნენ ირგვლივ...

შესრულდა მრავალი ლამაზი სიმღერა, ცეკვა, რომელთა მომზადებაში პატარებს როგორც აღმზრდელი მასწავლებლები ნონა ქაცარავა, დალი ჯიშკარიანი, მუსიკის მასწავლებელი ინდირა შარტავა, ასევე აქტიურად ეხმარებოდნენ თანაშემწეები მაია სესკურია და ეკა გურგენიძე.



დასასრულს დამსწრეთ მიესალმა ბაღის მთავარი სპეციალისტი მანანა სესკურია– „გვინდოდა თქვენთვის გვეჩვენებინა თუ რა კეთდება ჩვენს სააღმზრდელო დაწესებულებაში. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, თუ რა იყო 2-3 წლის უკან და რა არის დღეს... იმდენი რამ გაკეთდა, რაც არ გაკეთებულა 20 წელიწადი. მადლობა მათ, ვინც ზრუნავს და ფიქრობს უფრო ლაღად და ბედნიერად იცხოვრონ ჩვენმა ბავშვებმა.

მეც ვუერთდები მათ სიხალისეს, მათ ყოველდღიურ ცხოვრებას...

მინდა გითხარით, დაე, მუდამ უღრუბლო იყოს თქვენთვის საქართველოს ცა, გულებს მცხუნვარე მზე გინათებდეთ!

***ნაირა ბერაია***



# ასე გააგრძელეთ, ბიჭებო!

## სპორტი

21 აპრილს საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში, ხობის „კოლხეთი“ ოზურგეთის „მერცხალს“ მასპინძლობდა.

ჩვენი გუნდი მოედანზე სრული შემადგენლობით გამოვიდა.

– უკანდასახევი გზა არა გვაქვს, უსათუოდ უნდა გავიმარჯვოთო,–ასე დაარიგა მწვრთნელმა ზურაბ ლატარიამ გუნდის წევრები.

მართალი იყო მწვრთნელი. ჩვენები სატურნირო ცხრილში არცთუ სახარბიელო ადგილზე არიან.

თამაშის დაწყებიდანვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლა უშეღავათო იქნებოდა. პირველი 20 წუთის განმავლობაში ორივე გუნდმა თანაბარი ბრძოლა აჩვენა, მაგრამ თანდათან ჩვენი ბიჭების უპირატესობა ნათლად გამოიკვეთა! შედეგმაც არ დააყოვნა. 35-ე წუთზე მსაჯმა პენალტი დააფიქსირა. მიხეილ ბესარაშვილმა „კოლხეთი“ წინ გაიყვანა. თამაშის პირველი ნახევარი ასე დამთავრდა–1:0.

მეორე ნახევარში სტუმრებმა შემტევი ფეხბურთი აჩვენეს და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს კიდეც „კოლხეთის“ კართან, მაგრამ მეკარე ნიკა ჯალალანიამ შესანიშნავად ითამაშა, რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდის პრესტიჟი. თუმცა მეორე ტაიმის 25-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე გიორგი ფარფალიამ შესანიშნავად გაარღვია ოზურგეთელთა დაცვა და გამარჯვების გოლი გაიტანა. 2:1, ასე დამთავრდა „კოლხეთისა“ და „მერცხალის“ ორთაბრძოლა.

ჩვენები სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფებიან. ეს, რა თქმა უნდა, ის ადგილი არ არის, რომელიც გვჭირდება,



ეს კარგად ესმით კლუბ „კოლხეთის“ ხელმძღვანელობას, გუნდის თითოეულ წევრს.

იმედია, მომავალში უკეთეს თამაშს აჩვენებენ და კვლავ გაგვახარებენ.

გილოცავთ, ასე გააგრძელეთ ბიჭებო!

***მერი აბრამია,***
***საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.***

# გოგა ბერაიას სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში



14-19 აპრილს სოფელ პირველ ხორგაში ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის გოგა ბერაიას სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში მისივე სახელობის სტადიონზე.

ტურნირში მონაწილეობას 6 გუნდი იღებდა. თამაში დაძაბულად წარიმართა. გამოვლინდნენ პრიზიორები და გამარჯვებულები.

19 აპრილს ფინალური მატჩი გაიმართა. გამარჯვებული გოგა ბერაიას სახელობის თასის მფლობელი გოგას მეგობრებისაგან შემდგარი გუნდი „სამეგობრო“ გახდა, მათ გოგას სახელობის თასი და პირველი ადგილისთვის განკუთვნილი სიგელი გადაეცათ; მეორე ადგილი საბერაიოს გუნდმა დაიკავა, იგი მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდა. მესამე ადგილი ერგო საშელიოს უბნის გუნდს, რომელსაც სპეციალური თასი და სიგელი გადაეცა.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო ფეხბურთელებისათვის დაწესებული იყო პრიზები. საუკეთესო მეკარე გახდა–მურმან შელია; საუკეთესო თავდამსხმელი–გიორგი ჯობავა; პერსპექტიულ ფეხბურთელად აღიარეს დათო კვარაცხელია; ყველაზე ნორჩი ფეხბურთელის პრიზით დაჯილდოვდა ოთარ კორტავა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა ბექა ნადირაძე.

შეჯიბრება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახლგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და დაფინანსებით ჩატარდა.

პრიზები დააწესეს ასევე გამგებლის რწმუნებულმა ქ. ხობში ბატონმა კარლო ჯობავამ და გამგებლის რწმუნებულმა სოფელ პირველ ხორგაში ბატონმა კობა გოქაძემ.

დაჯილდოების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ, ბატონმა მამუკამ გოგა ბერაიას ოჯახს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ბოლოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ტურნირის მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა გოგას საფლავი ყვავილებით შეამკეს და დაბადების დღე მიულოცეს.

* **

# ჭადრაკი

ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში. ტურნირის მთავარი მსაჯის ირაკლი გეთიას აზრით ტურნირში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ყველა პერსპექტიულმა მოჭადრაკემ მიიღო.

გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი ერგო მარიამ ჭაჭიას (ხობის №2 საჯარო სკოლა); მეორე ადგილი ქეთინო კანკიას (ხეთის საჯარო სკოლა); მესამე ადგილზე ვერიკო კვარაცხელია (ხობის №2 საჯარო სკოლა) გავიდა.

ჭაბუკებში გამარჯვებულები და პრიზიორები გახდნენ: ლუკა შამუგია (ხობის №1 საჯარო სკოლა), ამირან შონია (ნოჯიხევის საჯარო სკოლა) და ნოდარ ქირია (ხობის №2 საჯარო სკოლა).

გუნდურ პირველობაში პირველი–მესამე ადგილები ასე გადანაწილდა: პირველ ადგილზე გავიდა ხობის №2 საჯარო სკოლა, მეორე ადგილზე ხობის №1 საჯარო სკოლა;მესამეზე ნოჯიხევის საჯარო სკოლა.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ, რომელიც მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (უფროსი ჯულიეტა ქვარაია) დააწესა.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ სამეგრელო–ზემო სვანეთის ჭადრაკის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი გია სალია და გენერალური მდივანი ბატონი დავით კოდუა. მათ მონაწილეებს საჩუქრად ჭადრაკის სახელმძღვანელოები გადასცეს, ხოლო ჭაბუკთა შორის გამარჯვებული 8 წლის ლუკა შამუგია თასით დააჯილდოვეს.

***ლევან ლემონჯავა***

## ერთად ვიხალისოთ

# „როგორ გეკადრებათ, ჯერ თქვენ...“

– ეწევით?–ეკითხება ექიმი ახალ პაციენტს.
– არა, ბატონო,–შეიცხადა პაციენტმა.
– სვამთ?
– როგორ გეკადრებათ, ბატონო!
– ა-ა. ეტყობა, ქალები...
– რას ბრძანებთ, ექიმო,–აღშფოთდა ავადმყოფი.
– აბა, ჩემთან რამ მოგიყვანათ?!– ახლა ექიმის გაოცების ჯერი დადგა.
– იცით, პატივცემულო,–დაირცხვინა პაციენტმა, – ბოლო დროს ტყუილებს დავეჩვიე და მეშველება რამე?!

ექიმი პაციენტს ურეკავს:
–სამწუხაროდ, თქვენთვის ორი რამ მაქვს სათქმელი, ერთი – ცუდი და მეორე – ძალიან ცუდი. რომლით დავიწყო?
– რაკი ასეა, მაშინ ცუდით,
– იცით, თქვენმა ანალიზებმა აჩვენა, რომ სულ რაღაც ოთხი დღის სიცოცხლე გაქვთ დარჩენილი.
– ეშმაკმა დალახვროს, ამაზე ცუდი რა უნდა იყოს?
– ამაზე ცუდი ის არის, რომ უკვე ოთხი დღეა, ამაოდ ვცდილობ თქვენთან დაკავშირებას...

სამშობიაროში სამ მელოგინე ქალბატონს კეთილი ფერია გამოეცხადა და თითო სურვილის შესრულება შეჰპირდა.

– არაფერი მინდა, ოღონდ ჯანმრთელი ბავშვი გავაჩინოო,–თქვა პირველმა ქალბატონმა. მეორემ– მე მოხერხებული ბავშვი მინდაო, მესამემ კი – თავაზიანი და ნატიფი მანერების შვილი მინდაო. ფერიამ სამივეს მოუსმინა და გაქრა.

ცოტა ხნის შემდეგ სამივე ქალს მუცელი ასტკივდა. პირველმა მალევე გააჩინა ჯანმრთელი გოლიათი ბიჭუნა, მეორესთან საქმე ცოტა გაჭირდა და ექიმებმა დახმარება გადაწყვიტეს. „მაშები მოაშორეთ! მე თვითონ გამოვალ!“–დაიყვირა დედის მუცლიდან ბავშვმა. მესამე ქალბატონს მშობიარობა დიდხანს გაუგრძელდა და ექიმებმა საკეისროს გაკეთება გადაწყვიტეს. გაკვეთეს და რას ხედავენ: საშვილოსნოში ტყუპები სხედან და ერთმანეთს ეპატიჟებიან: „მიბრძანდით“. „რას ბრძანებთ, მხოლოდ თქვენს შემდეგ“. „როგორ გეკადრებათ, ჯერ თქვენ.“


# იყიდება!

ქ.ხობში, (ჭავჭავაძის ქუჩა №27) ორსართულიანი სახლი განაშენიანებული ეზოთი. ფასი შეთანხმებით.

**ტელ:** 899–26-12-86; 897-42-22-42.

*იკითხეთ გოჩა*



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
დამფუძნებელი: ***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.***
„ახალი სამკუთხედის“ გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
დირექტორი ***ბეჟან ნადარაია***
მორიგე რედაქტორი ***ნანი კილასონია***
პასუხისმგებელი მდივანი ***მერი ლაგვილავა***
ფოტორეპორტიორი ***ირაკლი შონია***
დამკაბადონებელი ***ჯულიეტა ლატარია***
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1 ტელ: 8 (214) 2-21-13; (879) 72-61-72
გამოდის კვირაში ერთხელ
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს. „მ.ვ.პ.“გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.